ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 26 დეკემბერი, 2022 №254 (9032) ფასი: 80 თეთრი

## 30 წლის მამინაცვალი 11 წლის გერზე სექსუალურად ძალადობდა



გვ.4

# „პრეზიდენტი სააკაშვილს თუ არ შეიწყალებს, ე.ი. რუსეთის წნეხის ქვეშაა!“



გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „ჩვენ ვუყურებთ ჩვენი ქვეყნის მომავლის ჩამოხრჩობას“



## „ოცნებას“ მივმართავ — ნუ ცდით ხალხის ნერვებს!“

გვ.3



ლაშა ჩხარტიშვილი: „იაგო ხვიჩიას თუ აირჩევენ სახალხო დამცველად, ყოველგვარ ფასს დაუკარგავენ ამ ინსტიტუტს“



გვ.4

## „ხელისუფლებას სანამ შეუძლია, სააკაშვილს მაქსიმალურად გამოიყენებს“

გიგა ბუკია: „პოლიტიკური ველის მთლიანად მოსუფთავება ხდება“

## შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს უნდობლობას უცხადებს“



გვ.5

## „ჰააგის სასამართლოში საქმის მოგებაში ლომის წილი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აქვს“

ზურაბ ქადაგიძე: „რა ცირკსაც ჩვენ მიხეილ სააკაშვილის გარშემო ვხედავთ, ჩვეულებრივი პიარკამპანიის ნაწილია“



გვ.3



გვ.2

## შალვა პაპუაშვილი: „სააკაშვილის ადვოკატი დილით ამბობს, რომ მოწამლეს, საღამოს უარყოფს“

2 ანა წითლიძე: არ ვაპირებ პროტესტის შეწყვეტას

6 ბაიდენმა პუტინთან შეხვედრის პირობები წამოაყენა

2 მარნეულში შეიარაღებული პირები პოლიციელის ოჯახს თავს დაესხნენ

4 პუტინი არაობიექტურ ინფორმაციას იღებს

# „პრეზიდენტი სააკაშვილს თუ არ შეიწყალებს, ე.ი. რუსეთის წნეხის ქვეშაა!“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.**



## ლელა ჯეჯელავა: „ჩვენ ვუყურებთ ჩვენი ქვეყნის მომავლის ჩამოხრჩობას“

***– ქალბატონო ლელა, მიილია 2022 წელი. როგორ აფასებთ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას? ხელისუფლების ნაბიჯებს? ზელენსკის დიდი ზარზეიმით ხვდებიან ვაშინგტონში და ჩვენი ხელისუფლება კი სად არის ამ დროს და რა უნდა?***

– რადგან ამ წლის ბოლო ინტერვიუა, მოდით შევაფასოთ მთელი ეს ურთულესი წელი, მაგრამ ძალიან საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვანი მთელი მსოფლიოსათვის. ეს არის წელი, რომელმაც ეპოქალური მნიშვნელობის გარდატეხა შეიტანა დღემდე არსებულ საერთაშორისო წესრიგში. 24 თებერვალი გახდა ახალი ნიშნული კაცობრიობის განვითარებისა, საერთაშორისო ურთიერთობების ახალი კონფიგურაციის შექმნისა და უბრალოდ, 24 თებერვლის მერე, 2022 წელი გახდა ის მნიშვნელოვანი წელი, როდესაც უკვე მომავლის კონტურები აშკარად გამოკვეთილია და როდესაც კაცობრიობამ შეიძლება თქვას, რომ სრულდება იმპერიების, სხვების ჩაგვრის, პოლიტიკური უსამართლობის და სხვა ბევრი ნეგატიური მოვლენების ეპოქა, რომელიც ძველ საერთაშორისო წესრიგს თან ახლდა.

რასაკვირველია, იყო ძალიან ბევრი გამოწვევა, რომელიც მეტ-ნაკლებად წარმატებით არის დაძლეული, მაგრამ 2023 წლისთვის კვლავ რჩება ასევე დიდი გამოწვევები, რომელთანაც გამკლავება იქნება განმაპირობებელი თუ ვის და სად ექნება ადგილი ახალ საერთაშორისო წესრიგში.

***– სად იქნება ჩვენი ადგილი?***

– თუ ვიხელმძღვანელებთ ჩვენი ხელისუფლების საერთაშორისო კონტაქტების, ურთიერთობების გეოგრაფიით და ტრაექტორიით, რომელზედაც ისინი მოძრაობენ, უნდა გითხრათ, რომ საიმედოს ვერაფერს ვხედავ. წლის ბოლოს, როდესაც წლის შემაჯამებელი ვიზიტი საქართველოს პრემიერ-მინისტრს აქვს საუდის არაბეთში...

***– და უკრაინის პრეზიდენტს ვაშინგტონში.***

– დიახ, უკრაინის პრეზიდენტს ვაშინგტონში, ეს ძალიან ბევრის მანიშნებელია. ძალიან ბევრ რამეს ჰფენს ნათელს და დიდად სანუგეშოს საქართველოს მოსახლეობას, ცხადია, არაფერს ეუბნება.

***– ჩვენმა ხელისუფლებამ ზურგი აქცია ევროპულ მომავალს?***

– დიახ. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც დღის წესრიგში დგას კანდიდატის სტატუსის საკითხი და 12-პუნქტიანი დავალებების შესრულება. იმის ნაცვლად, რომ ჩვენი პრემიერ-მინისტრის და ხელისუფლების სხვა მაღალი წარმომადგენლების ვიზიტები ერთიმეორის მიყოლებით იყოს ბრიუსელში, სტრასბურში, ვაშინგტონში და ა.შ. რას ვხედავთ?! ვხედავთ გაერთიანებულ საემიროებს, ვხედავთ საუდის არაბეთს და ა. შ. ისტორიული კანონზომიერების წინააღმდეგ, ვერც „ქართული ოცნება“ წავა და ვერც სხვა რომელიმე ხელისუფლება. საქართველოს მომავალი არის ცივილიზაციურ დასავლეთში. საქართველო მთელი თავისი მრავალათასოვანი ისტორიით არის სწორედ ამ ცივილიზაციის ნაწილი და აკვანიც ამ ცივილიზაციისა. რაც არ უნდა მოინდომონ, რომ ეს რეალობა შეცვალონ, არ გამოუვათ. ადრე თუ გვიან, ჩვენი ადგილი აუცილებლად იქნება ცივილიზებულ დასავლეთში.

***– ევროპა უარს არ იტყვის საქართველოზეო. ზოგმა იხუმრა კიდეც, ჩვენი ნებით არ მივდივართ და ძალით კაბელით გვიერთებენო. ეს პროექტი რამდენად დამაიმედებელია?***

– გარდა კონკრეტული პერსონების და თუნდაც სახელმწიფოების გადაწყვეტილებისა და სურვილებისა, მე ამ შემთხვევაში ვგულისხმობ რუსეთს და მისგან მხარდაჭერილ „ქართულ ოცნებას“, არსებობს ისტორიული კანონზომიერების პრინციპი და არსებობს მოვლენათა განვითარების ლოგიკა. ამ ლოგიკით, დიახაც, საქართველოს დასავლურ ოჯახში ყოფნა არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენს მეგობრებს და პარტნიორებს დასავლეთში ეს ძალიან სჭირდებათ. ამიტომ თუ არა პოლიტიკური, აგერ ეკონომიკური პროექტებით და სხვადასხვა ტრანსნაციონალური ახალი პროექტებით, საქართველო მაინც ჯდება და უბრალოდ ვერ მოახერხებს, თავი აარიდოს ევროპული ინტერესების რეალიზაციას კავკასიის რეგიონში. ახლა, როდესაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სწორედ მაშინ არ ვმონაწილეობთ არანაირ პროცესებში. ისეთ ქვეყნებთან გაახშირეს ურთიერთობები და ვიზიტები, რომლებიც დიდად არ გამოირჩევიან დემოკრატიულობით. ვფიქრობ, რომ ჩვენი ხელისუფლება კიდევ უფრო დაშორდება იმ სტანდარტებს, რომელიც ადამიანის უფლებებს, სიტყვის თავისუფლებას, მედიის უფლებას და სხვა ტიპის უფლებებს განაპირობებს სახელმწიფოში. არ შემიძლია არ გამოვეხმაურო იმ დილემას, რომლის წინაშეც ჩვენი საზოგადოება დგას.

***– ალბათ მიხეილ სააკაშვილის საკითხს გულისხმობთ და სწორედ ეს მინდოდა მეკითხა. რამდენად ცუდად იმოქმედებს ქვეყნის იმიჯზე ეს ყველაფერი? როგორია თქვენი შეფასებები ამ საკითხთან დაკავშირებით?***

– ეს არის დილემა და ჩვენ ყველამ ერთად თუ ვერ შევძელით ამისი გადალახვა, უბრალოდ, ჩვენ მართლა ძალიან დიდი ხნით უკან დავიწევთ ისტორიული განვითარების პროცესებში. ალბათ გვექნება მინიმუმ 20-წლიანი ჩავარდნა მაინც განვითარების თვალსაზრისით. ის, რაც ახლა ხდება მესამე პრეზიდენტთან დაკავშირებით, ეს არის სრულიად წარმოუდგენელი. მე არ მინდა ვიხმარო გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა, რომელიც უკვე ძალიან გაუფასურდა მესამე პრეზიდენტთან მიმართებაში. სხვათა შორის, ძალიან სწორი ანალოგია გააკეთა ისტორიკოსმა ბეჟან ჯავახიამ, როდესაც ეს სიტუაცია შეადარა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ჩვენთვის ყველაზე უფრო ახლობელია, სარჩობელაზედ, სადაც ჩვენ ყველანი ერთად ვადევნებთ თვალს ამ ქვეყნის მომავლის ჩამოხრჩობას.

***– ირაკლი კობახიძემ უნიჭო სიმულაცია უწოდა სააკაშვილის მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, რა მოლოდინი გაქვთ ამ ხელისუფლებისგან?***

– იცით რა, ამ ხელისუფლებისგან ზუსტად ის მოლოდინი შეიძლება მქონდეს, რა მოლოდინიც მაქვს ამ საზოგადოებისგან. თუ საზოგადოებამ შეძლო მობილიზება და თუ საზოგადოებამ შეძლო სწორად გააზრება, რა ხიფათის წინაშე გვაყენებს ამგვარი დამოკიდებულება, მე მგონია, რომ ხელისუფლება საზოგადოების ზეწოლას ვერ გაუძლებს. ამიტომ ახლა ხელისუფლების მოლოდინებზე კი არ არის საქმე, არამედ ჩვენ რა მოლოდინებს ვუყენებთ საკუთარ თავს და ჩვენ რა მოლოდინები გვაქვს ჩვენი ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით. აი ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

***– თითქოს მომწიფდა სიტუაცია იქითკენ, რომ პრეზიდენტი შეიწყალებსო. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?***

– ჩემი აზრით, სიტუაცია კარგა ხანია მომწიფებულია. არ იყო ადამიანის მართლა სიკვდილის პირას მიყვანა აუცილებელი, რომ პრეზიდენტს მიეღო სახელმწიფოებრივად სწორი გადაწყვეტილება, რომელიც არა მარტო მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლეს და ბედს უკავშირდება, არამედ საქართველოს სიცოცხლისუნარიანობას. როგორც ხედავთ, პრეზიდენტი დუმს და ცდილობს, თავისი პასუხისმგებლობის ტვირთი სასამართლოსკენ გადაიტანოს.

***– რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?***

– მე არ მაქვს მოლოდინი, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება დაუშვებს იმას, რომ სასამართლომ მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელიც არის გასული ხელისუფლების კონტროლს მიღმა. ერთადერთი ტესტი, რომელიც ახლა სალომე ზურაბიშვილს აქვს ჩასაბარებელი, არა მარტო ჩვენს, არამედ საქართველოს მომავლის წინაშე, არის ის, რომ თუ მან ახლა ვერ მიიღო სახელმწიფოებრივად, ისტორიულად, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება, მაშინ ჩვენ, ყველას გვექნება ძალიან მძიმე ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ სალომე ზურაბიშვილი, პერსონალურად, როგორც პოლიტიკოსი, არ არის თავისუფალი რუსეთის წნეხისგან.

***– და ბიძინა ივანიშვილი?***

– ბიძინა ივანიშვილის გავლენები არ არის ისეთი მნიშვნელოვანი მასზე, თავისუფლად შეუძლია არ გაითვალისწინოს ივანიშვილის აზრი. ევროპელ პოლიტიკოსს, რომელმაც თავისი კარიერის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ევროპაში გაიკეთა და ზუსტად იცის, რას ნიშნავს ანგარიშვალდებულება ევროპული სტრუქტურების, მათი რეზოლუციების მიმართ. ბოლო რეზოლუციაში კი მას პირდაპირ დაეკისრა ვალდებულება, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს სწორი გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილსა და ნიკა გვარამიასთან დაკავშირებით, მან ეს გადასარევად იცის. ამიტომ ბიძინა ივანიშვილის მიმართ ვალდებულებები, რომელიც, ცხადია, აქვს სალომე ზურაბიშვილს, ამან ვერ უნდა გადაწონოს ევროპელი პოლიტიკოსისათვის მაღალი რანგის ევროპული ინსტიტუციების რეკომენდაციები.

ამიტომ, თუკი სალომე ზურაბიშვილი ვერ იღებს ამ გადაწყვეტილებას, მაშინ მას აქვს ვალდებულებები რუსეთის ხელისუფლებასთან, წნეხის ქვეშაა!

## შალვა პაპუაშვილი: „სააკაშვილის ადვოკატი დილით ამბობს, რომ მოწამლეს, საღამოს უარყოფს“




პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს ავრცელებს.

როგორც პაპუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ყველაფრის მიზანია, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა შეირყეს.

– ამ ყველაფერში თან უნდათ, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების, სხვადასხვა დაწესებულებების მიმართ ნდობა შეარყიონ, არადა, თავად იმ ადვოკატებს, რომლებიც ჩართულები არიან, დარწმუნებული ვარ, თავისი პროფესიული კარიერის მანძილზე მრავალჯერ მიუმართავთ სამხარაულის ეროვნული ბიუროსთვის და მრავალჯერ მათ ექსპერტიზაზე დაყრდნობით პროცესები უწარმოებიათ.

რაც შეეხება მოწამვლას, ჩვენ ვნახეთ, დილით ამბობს იგივე ადვოკატი, რომ მოწამლეს, საღამოს უარყოფს, რომ არა, არ მოწამლეს. დილით ამბობს მისი რომელიმე მეგობარი, ან იქნება სტატია თუ რეპორტაჟი ამა თუ იმ ტელევიზიაში, რომ სააკაშვილი მოწამლეს, საღამოს თავად სააკაშვილი ამბობს, რომ არავინ არ მოწამლა. წარმოუდგენელია, დასკვნები, რომელიც ათას გვერდზეა, თითქოს საზოგადოებას შინაარსს არ აცნობენ.

პირდაპირი მანიპულაცია იყო ანალიზში, როდესაც მითითებული იყო რაღაც მაჩვენებელი და არ იყო მითითებული, რა ითვლებოდა ზედა და ქვედა ზღვრად, – განაცხადა პაპუაშვილმა.

## ანა წითლიძე: „არ ვაპირებ პროტესტის შეწყვეტას“



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი, დეპუტატი ანა წითლიძე შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებს, ვიდრე მიხეილ სააკაშვილს საქართველოდან სამკურნალოდ საზღვარგარეთ არ გადაიყვანენ.

ის შიმშილობის მე-11 დღესაც ხელისუფლებას და ყველას, „ვისაც შეუძლია ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინოს“, მოქმედებისკენ მოუწოდებს.

– მინდა შობა მივულოცო ყველას და ვთქვა, რომ დღეს არის დღე, როცა დაიბადა ქრისტე, რომელიც შემდეგ ჯვარს ეცვა თითოეული ჩვენგანის ცოდვების გამო და რომელმაც გვითხრა, რომ „გიყვარდეს მტერი შენი და სიკეთე უქენი შენს მოძულეებს და ჩემი შიმშილობის მე-11 დღეს, მე მინდა, ისევ მივმართო ხელისუფლებას და ყველას, ვისაც შეუძლია გადაარჩინონ ადამიანის სიცოცხლე, გადაიყვანონ პრეზიდენტი სააკაშვილი სამკურნალოდ, მე არ ვაპირებ პროტესტის შეწყვეტას, ვაგრძელებ და ვარ მხნედ, – განაცხადა ანა წითლიძემ.

## მარნეულში შეიარაღებული პირები პოლიციელის ოჯახს თავს დაესხნენ

შეიარაღებული თავდასხმა მარნეულში – ადგილობრივი პოლიციელის ოჯახში გუშინ, გვიან ღამით უცხო პირები შევარდნენ, სასტიკადაა ნაცემი პოლიციელის დედა და მეუღლე, რომლებსაც მრავლობითი დაზიანება მიაყენეს. ანგარიშსწორება ორი მცირეწლოვანი ბავშვის თანდასწრებით მოხდა.

ირკვევა, რომ ნიღბიანი პირები უბნის ინსპექტორის, ამილ ჰაჯიევის სახლში შეიჭრნენ, ქალებს ხელები შეუკრეს და მათზე ფიზიკურად იძალადეს.

– გამოკითხვაზე ვიყავი, ახლა მოვედი, ამბავი წუხელ მოხდა. ჩემი შვილი სამსახურში იყო. ქალები მარტო იყვნენ ბავშვებთან ერთად. ამ დროს უცხო პირები შევიდნენ, ქალებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ჩემი მეუღლე მძიმედაა და საავადმყოფოშია გადაყვანილი. ჩემ რძალს კი სცემეს და ხელები შეუკრეს. არ ვიცი, რა უნდოდათ ჩემგან, – ამბობს პოლიციელის მამა.

დამნაშავეები ამ დრომდე არ არიან დაკავებულნი. უცნობია წაღებულია თუ არა სახლიდან ნივთები.

აქ, მარნეულში, ყოველდღე ხდება მსგავსი კრიმინალური შემთხვევები. პოლიცია საკუთარ თავს ვერ იცავს, ჩვენ როგორ დაგვიცავს, – ამბობენ ადგილობრივები. შსს-ს ცნობით, გამოძიება სსკ-ის 179-ე მუხლით დაიწყო.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებას“ მივმართავ — ნუ ცდით ხალხის ნერვებს!“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „იაგო ხვიჩიას თუ აირჩევენ სახალხო დამცველად, ყოველგვარ ფასს დაუკარგავენ ამ ინსტიტუტს“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ლაშა, პოლიტოლოგების შეფასებით, „ქართული ოცნება“ არსებული პოლიტიკური რეალობის შენარჩუნებას აპირებს 2024 წლამდე. ფიქრობთ, რომ ხელისუფლება არაფრის შეცვლას არ აპირებს?***

— რა თქმა უნდა! ივანიშვილი სიცოცხლის ბოლომდე აპირებს ხელისუფლებაში დარჩენას. ეს არ არის ახალი ამბავი. ძალიან მარტივად მისახვედრი და გამოსაცნობია, რომ ის ძალაუფლებას არაფრის ფასად არ დათმობს და მის შენარჩუნებას შეეცდება არათუ 2024 წლამდე, როგორც გითხარით, სიცოცხლის ბოლომდე.

„ქართული ოცნება“ კარგად მოემზადა ამისთვის, ეს ხელისგულზე დევს. ძალიან მარტივად არის დასანახი. ვისაც უნდა დაინახავს.

***— პირველ რიგში რა ჩანს?***

— მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი დარწმუნებული იყო, ძალიან ძვირი დაუჯდებოდა დასავლეთთან ურთიერთობაში ჯალათი მოსამართლეების დაბრუნება, მან მაინც დააბრუნა. რეზოლუციაში უკვე ჩაიწერა ივანიშვილის დასანქცირების საკითხი. ეს არ იყო მარტივი ამბავი. მიუხედავად ამისა, სასამართლო სისტემის დათმობას არაფრის ფასად არ აპირებს. არ აპირებს საარჩევნო სისტემის დათმობას. საარჩევნო სისტემას კი არა, სახალხო დამცველს არ თმობს, ხომ ხედავთ. ისე აქვს „ქართულ ოცნებას“ „შეტოპილი“ დასავლეთთან ურთიერთობაში, რომ ყველაფრისთვის მზად არიან, ოღონდ ბიძინა ივანიშვილი დარჩეს ხელისუფლებაში.

ქართველი ხალხი და ამომრჩევლის სურვილი არავის არაფერში არ აღელვებს. ფიქრობენ, ისევ გააყალბებენ არჩევნებს და ისევ დარჩებიან ხელისუფლებაში.

***— რამდენად შეძლებენ?***

— ესაა საქმე, შეძლებენ?! თუ ხალხი არ იქნება მოწოდების სიმაღლეზე და ხელს ჩაიქნევს, მაშინ, ცხადია, შეძლებენ და მართლაც აწ და მარადის იქნებიან ხელისუფლებაში, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ხალხი არ აპირებს შეეგუოს რუსეთის ინტერესების მონობას. დარწმუნებული ვარ, ხალხი არ აპირებს შეეგუოს, რუსული ინტერესების სანაცვლოდ, საკუთარ მომავალზე უარის თქმას. იმედი მაქვს, ხალხი უარს არ იტყვის დასავლეთზე, დემოკრატიულ ღირებულებებსა და ამ ქვეყნის დასავლურ მომავალზე.



„ოცნებას“ მივმართავ – ნუ ცდით ხალხის ნერვებს, თორემ, რაც ამას მოყვება, იმას ნამდვილად არ ვისურვებდი. დარწმუნებული ვარ, ხალხი არაფრის შეგუებას არ აპირებს. ისე ნუ იზამთ, მერე თვითონ მოითხოვოთ ვადამდელი არჩევნების დანიშვნა.

„ქართულმა ოცნებამ“ სრულიად მიზანმიმართულად ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციიდან არც ერთი არ შეასრულა. არ შეასრულა სწორედ იმიტომ, რომ არ უნდა ევროკავშირის სტატუსი. ეს ტვირთია მისთვის. მართვის ის სტილი, რომელიც დღეს არის, ყველაზე მარტივი გზაა დამონების, დამორჩილების, რუსეთთან ყოფნის. ეს არის კონცენტრირებული ძალაუფლება ივანიშვილის ხელში, ეს არის ავტოკრატია, რაც ევროკავშირთან და ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსთან შეუსაბამოა. ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ბუნებრივი მოკავშირე პუტინი და რუსეთია. ევროკავშირი, დემოკრატია არ ცნობს ავტორიტარიზმს. შარლ მიშელი რომ გეტყვის, ოპოზიციასთან უნდა ითანამშრომლო და უნდა იყო მზად ძალაუფლების გადანაწილებისთვის, ეს რაში აწყობს კობახიძეს ან მდინარაძეს?!

კობახიძეები, მდინარაძეები მზად არიან ძალაუფლება სამუდამოდ შეინარჩუნონ. სამწუხაროდ, ამ სურვილში ივანიშვილს ხელს უწყობს საპარლამენტო ოპოზიცია. პარლამენტში შესვლით დიდი შეცდომა დაუშვეს. ეს არ იკმარეს და ახლა იქიდანაც არ გამოდიან. ბუტაფორიად ქცეულ პარლამენტში იმ ფონზე, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ოპოზიციას რა უნდა?! რატომ ახდენს ივანიშვილის რეჟიმის ლეგიტიმაციას, სრულიად გაუგებარია. სანამ ეს ოპოზიცია პარლამენტიდან არ გამოვა, ნებისმიერ აქტივობას ფასი ეკარგება. ხალხს არ სჯერა ოპოზიციის.

***— როგორ ფიქრობთ, სახალხო დამცველის კანდიდატურაზე შეთანხმება რატომ ვერ შეძლეს? საუბარი იყო, იაგო ხვიჩიას კანდიდატურა უნდა გასულიყო.***

— როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებას“ ურჩევნია პროცესი გაწელოს და ევროკავშირს მოაჩვენოს, რომ მუშაობენ. როგორ შეხმატკბილებულები არიან ოპოზიცია და ხელისუფლება და როგორ მუშაობენ საკითხზე. ილუზიას ქმნიდა, რომ სრული იდილია სუფევს. დემოკრატობანას თამაშობენ. იმთავითვე თავის მოტყუება იყო ამ თამაშში შეყოლა. ეს იყო დაუშვებელი შეცდომა.

რაც შეეხება იაგო ხვიჩიას კანდიდატურას, მისი გასვლა ყოველგვარ ფასს დაუკარგავს ამ ინსტიტუტს. თუმცა, როგორც ჩანს, არც იაგო ხვიჩიას კანდიდატურის გაყვანას აპირებენ, რადგან დროის გაწელვა უფრო აწყობთ. სახალხო დამცველი და მისი აპარატი ყოველთვის იყო დამოუკიდებელი ინსტიტუტი. ეს ვერ აიტანეს. ამიტომ ახლა, ამ ერთადერთი ინსტიტუტის ხელში ჩაგდების სპეცოპერაცია მიმდინარეობს. ადრე თუ გვიან, მაინც უნდა აირჩიონ სახალხო დამცველი, რაც კანონის მიხედვით გაზაფხულზე უნდა მოხდეს. ვნახოთ, ვის აირჩევენ.

# „ჰააგის სასამართლოში საქმის მოგებაში ლომის წილი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აქვს“

## ზურაბ ქადაგიძე: „რა ცირკსაც ჩვენ მიხეილ სააკაშვილის გარშემო ვხედავთ, ჩვეულებრივი პიარკამპანიის ნაწილია“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკის ანალიტიკოსი, თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი ზურაბ ქადაგიძე პასუხობს.**

***— ბატონო ზურაბ, სიენენზე სიუჟეტი გავიდა, სადაც ითქვა, რომ სააკაშვილი ძალიან ცუდადაა, ხელისუფლება მას წამლავს და აწამებო. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით? სააკაშვილის საკითხი ამ დონეზე გახმოვანდა.***

— ამ დონეზე კი არ გახმოვანდა, დაფინანსებული, დაგეგმილი პიარკამპანიაა. გიული ალასანიამ „პიარჩიკები“ რომ დაიქირავა, ჩვენ ვხუმრობდით, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობაზე ტაივანსა და ჰონგ-კონგშიც კი დაიწერა. თუმცა, ეს არის პიარკამპანიის ნაწილი, რომ ეს თემა მთელი მსოფლიოს მასმედიის ყურადღების ქვეშ მოექცეს.



სიენენზე ეს კონკრეტული სიუჟეტი შეკვეთილი რომ არის, იქიდანაც ჩანს, რომ მოპასუხე მხარეც კი არ ჩაუწერიათ. თუ ობიექტურ ჟურნალისტიკაზე ვსაუბრობთ, ჰიპოთეტურად რომ ვთქვათ, თუ სააკაშვილს აწამებენ, ელჩისთვის ეკითხათ. ზალკალიანი იქ არ არის? ან სიენენის ჟურნალისტს იუსტიციის სამინისტროსთვის დაერეკა და ეკითხა, რა როგორ არის.

რა ცირკსაც ჩვენ მიხეილ სააკაშვილის გარშემო ვხედავთ, ჩვეულებრივი პიარკამპანიის ნაწილია. მიხეილ სააკაშვილი, გარკვეულწილად, რაღაცნაირად, ფსიქოტიპის თვალსაზრისით, ისეთი იყო, როგორიც ვნახეთ. უბრალოდ, ახლა ვნახეთ ის, რომ დისკომფორტს განიცდის, რადგან ციხეშია.

უფრო სწორად, ოროთახიან ლუქსპალატაშია, ციხეშიც კი არ არის. აქედან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილის თემა უკვე გაცვეთილია. არც კვდება, არც აშიმშილებენ, არც აწამებენ, არც წამლავენ.

რეალურად, ეს პროცესია და არა ის, რასაც აშუქებენ. სიენენზე იქნება თუ სხვაგან. შეიძლება, ბიბისიზეც გავიდეს. აგერ „ნიუ იორკ თაიმსმა“ დაწერა. სხვა გაზეთებმაც რომ დაწერონ, გასაკვირი არ არის. ბევრი ფულია გადახდილი და ის ფული მიზნობრივად უნდა დაიხარჯოს. რა პრობლემაა სიენენზე სიუჟეტის გაშვება.

***— თქვენ თქვით, სიენენმა მეორე მხარე არ ჩაწერაო. თვითონ ხელისუფლება რა ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ თუ მართალია, გასცეს პასუხი, ვალდებულება არ აქვს?***

— კი, ბატონო, ვალდებულებაც არის.

***— რატომ არ სცემს შესაბამის პასუხს და რატომ არის ეს თემა მუდმივად ასეთი აჟიტირების საგანი?***

— ხელისუფლება პასუხს რატომ არ სცემს, არ ვიცი. ეს კითხვა, ალბათ, კონკრეტულად, ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა დაუსვათ. ჩემი მოსაზრებით, პასუხის გაცემის აუცილებლობაც არის და ვალდებულებაც. ხელისუფლება მხოლოდ მის მიერ შექმნილ პროცესებზე არ არის პასუხისმგებელი. ხელისუფლება ვალდებული და პასუხისმგებელია ზოგად პოლიტიკურ სიტუაციაზე. ან თუ მას ხელეწიფება და მას შეუძლია რაიმე სახის მოქმედება განახორციელოს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სიენენი იქნება, სახელმწიფო დეპარტამენტი თუ სხვა ნებისმიერი, ვინც საქართველოს მართლმსაჯულებაში, სასამართლოს გადაწყვეტილებაში ეჭვს შეიტანს, სახელმწიფომ მყისიერად, ხისტად უნდა უპასუხოს, რადგან უკაცრავად, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და ეს ქვეყანა „შარაშკინა“ კანტორა არ არის.

ხელისუფლება პასუხს სცემს თუ არა, არ ვიცი, დაველოდოთ. იმედია, ხელისუფლების წარმომადგენლები კონკრეტულ პასუხს გასცემენ, რადგან, ელემენტარულად იმიჯის საკითხია.

***— ინფორმაციების მედიაში გასვლის შემდეგ, სიუჟეტს განცხადება ამერიკის ელჩმაც მოაყოლა, ანუ ასეთი ინფორმაციები ჩვენს საგარეო ურთიერთობებზე გავლენას არ იქონიებს?***

— რაზე უნდა იმოქმედოს? თუ საქართველოს საგარეო ურთიერთობები დამნაშავე მიხეილ სააკაშვილის სიმულაციასა და მის ყოფნა-არყოფნაზე გადის, დაე, იმოქმედოს, რადგან აბსურდული სიტუაცია იქმნება. თუ სააკაშვილის გამო დასავლური ორიენტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, ასეთი ორიენტაცია, საერთოდ, მიუღებელია. მაშინ საქართველო არ არის სუვერენული სახელმწიფო.

***— ყოველ შემთხვევაში, სიენენზე თქვეს, რომ სააკაშვილი პუტინს შიშის ზარს სცემდა. ეს მნიშვნელოვანი არ არის?***

— სააკაშვილი შიშის ზარს ვის სცემდა... სააკაშვილს, როდესაც განუზომელი ძალაუფლება ჰქონდა, მხოლოდ საკუთარ მოსახლეობაზე ძალადობა შეეძლო.

***— გიორგი ვაშაძე ჰააგის პროკურატურის დასკვნების შემდეგ (მოგეხსენებათ, ჰააგის პროკურატურამ 2008 წლის ომის საქმის გამოძიება დაასრულა) ამბობს, რომ საქართველოს მხარემ, ანუ ხელისუფლებამ, ეს საქმე მოღალატეობრივად აწარმოა, რადგან რუსეთის მხარეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრაო. ამაზე რას იტყვით?***

— რუსეთის მხარეს პასუხისმგებლობა როგორ არ დაეკისრა? რუსეთის მხარეს ის პასუხისმგებლობა დაეკისრა, რაც დაეკისრა. გიორგი ვაშაძეც იმავე გუნდის ნაწილია, რომელიც, სწორედ რომ მოღალატეობრივად აწერდა ხელს და იმის დეკლარირებას ახდენდა, რომ ომი ქართულმა ჯარმა და ქართველმა ოფიცრებმა დაიწყეს.

ეს ძალიან დიდი თემაა და ძნელია, ასე ორი სიტყვით მიმოხილვა, მაგრამ საქართველოს საწინააღმდეგო რეზოლუციას თავი რომ დავანებოთ, ომის დასრულების შემდეგ, ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ (სისხლის სამართლის სასამართლო სხვაა) საქართველოს სახელმწიფოს გაგზავნილი საქმე რატომ არ მიიღო? შემთხვევით ე.წ. მტკიცებულებები ხომ არ იყო დაკარგული? ან მტკიცებულებები მიზნობრივად ხომ არ დაკარგეს?!

სააკაშვილის გაგზავნილი საქმე ჰააგამ არც კი მიიღო. დიახ, ჰააგის სასამართლოში საქმის მოგებაში ლომის წილი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აქვს. ძალიან დიდი შრომა გასწია პირადად თეა წულუკიანისა და გოჩა ლორთქიფანიძის გუნდმა და ბატონ სოზარ სუბარის სახალხო დამცველობის დროს მოპოვებულმა მტკიცებულებებმა.

# თბილისში, ჯავის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, ჯავის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს.

შსს-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა დადგენილია და მის დასაკავებლად შესაბამისი ღონისძიებები ტარდება.

1964 წელს დაბადებულ ვ.ქ.-ს ბრალი განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, დაუსწრებლად წარედგინა.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევმა ბრალდებულმა წარსულში მომხდარი პირადი კონფლიქტის გამო, მიმდინარე წლის 23 დეკემბერს, თბილისში, ჯავის ქუჩაზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა 1976 წელს დაბადებული ბ.ო. და მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა მომხდარიდან რამდენიმე წუთში დაადგინა და მის დასაკავებლად შესაბამის ღონისძიებებს ატარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.



# „ხელისუფლებას სანამ შეუძლია, სააკაშვილს მაქსიმალურად გამოიყენებს“

## გიგა ბუკია: „პოლიტიკური ველის მთლიანად მოსუფთავება ხდება“

მარიამ მჭედლიშვილი

მესამე პრეზიდენტის გარშემო შექმნილ მდგომარეობასა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, გიგა ბუკიას.



***– თქვენი აზრით, აქვს თუ არა ხელისუფლებას ჩამოყალიბებული დამოკიდებულება მიხეილ სააკაშვილის მომავლის მიმართ, თუ ჯერ თვითონაც არ იცის, რა უნდა ქნას შექმნილ სიტუაციაში?***

– ხელისუფლებას სააკაშვილი სჭირდება. სანამ შეუძლია, ხელისუფლება სააკაშვილის ფაქტორს მაქსიმალურად გამოიყენებს. თუ დაინახავს, რომ მის სიცოცხლეს ნამდვილად ემუქრება საფრთხე, მაშინ სააკაშვილის მდგომარეობას შეცვლის, ან გაათავისუფლებს, ან სასჯელს გადაუვადებს. სააკაშვილის მომხრეები ამაზე ახლაც განგაშს ტეხენ, თუმცა, სინამდვილეში, ჯერ საგანგაშო მდგომარეობა არ არის.

***– სასამართლო პროცესი ჭიანურდება?***

– ყველაფერი კეთდება პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. შეიძლება პროცესი არც ჭიანურდება. არ მგონია, რომ ორი-სამი დღე რაღაცას წყვეტდეს. როგორც ჩანს, ხელისუფლებას და დაცვის მხარეს ამ საკითხზე ერთმანეთში ჯერ არ მოულაპარაკებიათ. არც დაცვის მხარე მოითხოვს პროცესის დაჩქარებას.

***– ამ ყველაფერს ახლავს უცნაური კომენტარები. ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები და პრორუსული ჯგუფები ნერგავენ აზრს, რომ სააკაშვილის კონტეინერით შემოგზავნა და სხვა ბევრი ამბავი ერთი სპეცოპერაციის ნაწილია. ბოლო დღეებში ამ სპეცოპერაციას დაუკავშირეს გიორგი გახარიას სახელიც. თქვენ რას იტყვით?***

– ხელისუფლება აშავებს ყველას, ვისაც კონკურენტად მიიჩნევს. უნდათ გასვარონ პოლიტიკოსები, რომლებმაც შეიძლება ხელისუფლებას რაღაც პრობლემა შეუქმნან. ასეთი ტაქტიკა საქართველოში გამოცდილია. დღეს პოლიტიკური ველის შუაზე გაკრეფა კი არა, მთლიანად მოსუფთავება ხდება. ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური ველი დიდხანს დარჩება მოსუფთავებული. 2011 წელს საქართველოს პოლიტიკაში არსებობდა პოლიტიკური ექსვეული. იმდროინდელ ოპოზიციურ ექსვეულში ჩვენც შევდიოდით. 2011 წელს სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა პოლიტიკური ველის დაცარიელებისათვის. 2011 წლის აგვისტოში მან პოლიტიკური ველი გაწმინდა. ეს მდგომარეობა დიდხანს არ შენარჩუნდა და მალე გამოჩნდა ახალი ოპოზიცია ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით.

***– ახლაც ვერ იქნება ხანგრძლივი სიცარიელე პოლიტიკურ ველზე?***

– დიახ. ამის თქმა მინდა. მით უმეტეს, რომ მოსახლეობის 70%-ს ცვლილებები და სხვა ძალა (ძალები) უნდა. ამ ხალხს სააკაშვილის მობრუნება არ სურს. პოლიტიკური არენის პირწმინდად გასუფთავება კომუნისტებმაც კი ვერ მოახერხეს.

***– 70 წლით მოახერხეს.***

– მათ ეს გააკეთეს რეპრესიების ხარჯზე. რაც უნდა ეცადოს „ქართული ოცნება“ ან სხვა ვინმე, დღეს საქართველოში საბჭოთა რეპრესიების მსგავსი არ გამოვა. როცა იქნება, ახალი ძალები გამოჩნდებიან და გაძლიერდებიან.

***– „გორბის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვით, დღეს რომ არჩევნები ჩატარდეს, „ქართულ ოცნებას“ ხმას მისცემს 52%, ნაცმოძრაობას – 23%. გაბერილი ხომ არ არის ეს ციფრები?***

– ეს ციფრები აღებულია იმ ხალხისგან, რომელსაც მიღებული აქვს გადაწყვეტილება, ვინც იცის, ვის აძლევს ხმას. საერთოდ დიდია იმათი რიცხვი, ვისაც არც „ოცნება“ მოსწონს და არც ნაცმოძრაობა. „ქართული ოცნება“ რომ სხვა პარტიებზე ბევრად წინ არის, ეს ისედაც აშკარაა. პრობლემა ისაა, რომ მმართველი პარტიისთვისაც დღეს ერთადერთი თემა არსებობს – სააკაშვილი. ხდება ამ საკითხის გაბუქება და სხვა პრობლემების სრულად მიჩქმალვა. მაგალითად, ხალხს აღელვებს ის, თუ რაზე დაიხარჯება ბიუჯეტი. პარლამენტში მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვაზე ოპოზიცია პრაქტიკულად არ იყო წარმოდგენილი. ოპოზიცია არ ესწრებოდა ამ სასიცოცხლო საკითხების განხილვას.

***– თქვენ მიერ ნახსენები ოპოზიცია კვლავინდებურად იხილავს პარლამენტის დატოვება-არდატოვების საკითხს.***

– ეს უკვე სასაცილოა. რაც პარლამენტის არჩევნები დამთავრდა, მას შემდეგაა ეს იწილო-ბიწილო. იმდენჯერ შევიდა პარლამენტში ეს ოპოზიცია, იმდენჯერ გამოვიდა პარლამენტიდან, იმდენი იყვირა ამ შესვლა-გამოსვლაზე, რომ ეს კომიკური გახდა. არადა, ოპოზიციას შეეძლო საჭირო და ღირებული საქმე ეკეთებინა, ხელისუფლებისთვის რაღაც ბერკეტები გამოერთმია. დღეს ვხედავთ უსაქმოდ მყოფ, უკიდურესად დასუსტებულ ოპოზიციას. ამ სპექტრში ორი ლიდერია, სააკაშვილი და ივანიშვილი. სხვები მათ გარშემო ტრიალებენ. სხვა პოლიტიკური ე.წ. ლიდერები, ფაქტობრივად, მათ მიერ არიან დანიშნული.

***– ბელადების კულტი დამახასიათებელია ტოტალიტარული რეჟიმებისათვის. საქართველოში გამეფებული ბელადომანია ადასტურებს, რომ ნორმალური სისტემა არ გვაქვს?***

– ჩვენი პრობლემა საზოგადოებაშიცაა. რაღაცაში ჩვენ ყველას მიგვიძღვის ბრალი და წვლილი. ადამიანები ისე იღებენ გადაწყვეტილებას, ისე აკეთებენ არჩევანს, რომ არ აანალიზებენ სიტუაციას. ადამიანების ნიჰილიზმში ჩავარდნას ხელს უწყობს ხელისუფლებაც. საჭიროა ამაზე მსჯელობა, გამოსავლის ძიება. სამწუხაროდ, არ გვყავს დამოუკიდებელი ექსპერტები, ანალიტიკოსები. თუ ვინმეს ექსპერტს ვუწოდებთ, ის ან სააკაშვილის მეხოტბეა, ან – ივანიშვილის. არ მიდის მსჯელობა ნამდვილ პრობლემებზე. პოლიტიკური შოუები ეთმობა ხელოვნურ საკითხებს. გადაცემების მონაწილეების მხრიდან ერთმანეთის გლეჯა და ურთიერთშეურაცხყოფა ხელოვნურად გამწვავებულ საკითხებზე გულის ამრევი გახდა. ქვეყანაში დაქვეითდა პასუხისმგებლობა, პოლიტიკური მეხსიერება, იმატა გულმავიწყობამ. მეტად წამოყვეს თავი პოლიტიკოსებმა, რომლებმაც უამრავი პარტია და აზრი გამოიცვალეს.

***– რუსეთის გაზრდილი აგრესიის ფონზე, რატომღაც პრორუსული ჯგუფები გააქტიურდნენ საქართველოში.***

– ასეთი მიმართულება ყოველთვის იყო, ადამიანები ახლა კი არ გააქტიურდნენ. უბრალოდ, ახლა მათ აქვთ აზრის გამოხატვის საშუალება. პრორუსებში ზოგს ჰგონია, რომ ჭკვიანურს ამბობს, ზოგი ფინანსდება, ზოგს რუსეთთან დაკავშირებული ბიზნესი აქვს. არა მგონია, რომ ამ ჯგუფებმა და პიროვნებებმა მოსახლეობაზე გავლენა მოახდინონ. ჩვენმა ხალხმა ევროპაც ნახა და გაიცნო, კეთილდღეობასა და დემოკრატიაზეც შეიქმნა წარმოდგენა. გამორიცხულია, ჩვენს ხალხს რუსის ჩექმა ენატრებოდეს. პრორუსული განცხადებებით საარჩევნო ქულებს ვერავინ მოიმატებს.

***– ისევ ორპარტიულობის პირობებში ვცხოვრობთ?***

– გვყავს ორი ლიდერი – სააკაშვილი და ივანიშვილი. სხვები პოლიტიკურ ლიდერებად ვერ ჩაითვლებიან. ისინი არიან ამ ორი გავლენიანი კაცის ნების შემსრულებლები. „ქართულ ოცნებას“ აწყობს ეს სიტუაცია და ნაციონალურ მოძრაობასაც კარგად აქვს მორგებული მთავარი ოპოზიციის როლი და ოპოზიციის პირველი ადგილი. დააკვირდით, ვინ არის დღეს ძირითადად ოპოზიციაში: 90%-ით ეს არიან ადამიანები, რომლებიც ან ნაცმოძრაობის წევრები იყვნენ, ან აქტივისტები, ან მის გარშემო არსებული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. პოლიტიკაში დიდი ადგილი უკავიათ პოლიტიკოსებს, რომლებმაც გამოიცვალეს პარტიები, რომლებიც შეხედულებებსაც ხშირად იცვლიან. ასეთები სხვებს მოუწოდებენ, გავერთიანდეთო. რომელ გაერთიანებაზე შეიძლება ლაპარაკი მაშინ, როცა, ვინც არის, ისიც იშლება. თუნდაც, ნაციონალური მოძრაობა.

# თბილისში ცოლ-ქმარი მოკლეს

არსებული ინფორმაციით, დანაშაული რამდენიმე დღის წინ მოხდა. ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა მეზობლის ჩადენილია, თუმცა ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურებული არ არის. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, სავარაუდო დამნაშავე უკვე დაკავებულია, თუმცა შსს-ს ჯერჯერობით განცხადება არ გაუვრცელებია.

უცნობია დანაშაულის ზუსტი ადგილი და იარაღი.

ასევე დაუზუსტებელი ინფორმაციით, მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკითაა ჩადენილი და ცხედრებს წამების კვალი ეტყობა. არსებული ცნობით, გვამების გადამალვა ორმოში სცადეს.

მოკლულები ფასანაურში გადაასვენეს. ქალი ადგილობრივია, ხოლო კაცი უცხო ქვეყნის მოქალაქე.

მოკლული ცოლ-ქმარი ფასანაურში უკვე დაკრძალეს. ქალის მშობლები „მთავარ არხთან“ ამბობენ, რომ ამ სისასტიკეს მხოლოდ ერთი ადამიანი ვერ ჩაიდენდა და აქვთ ეჭვი, რომ მკვლელობაში ერთზე მეტი პირი მონაწილეობდა.

ოჯახის ახლობლები ამბობენ, რომ ორშაბათს, დღის 4 საათზე, ცოლ-ქმარი წავიდა რუსთავში, საიდანაც უნდა წამოეყვანათ მათი კუთვნილი ავტომობილი, მათ თანხა წინასწარ ჰქონდათ გადახდილი. ცოლ-ქმარს ავტომობილი დანიშნულების ადგილზე არ დახვდა. კონფლიქტი, სავარაუდოდ, სწორედ ამის შემდეგ განვითარდა.

– წინასწარ ჰქონდა შემზადებული ადგილი მოსაკლავად. წაიყვანა მოტყუებით ღამით, გადაიყვანა მანქანიდან, განახებთ მანქანასო და მიიყვანა. შეიძლება, ვიღაცა ჰყავდა, კიდევ ჰყავდა სხვები, ერთი როგორ მოკლავდა ამ ორს ასე წამებით. სადისტურად არიან მოკლული. დანები აქვს დარტყმული გულში ორივეს და ვინ იცის რამდენ ადგილზე. ჩემი შვილი დაცვას რომ ცდილობდა, აი მაშინ აქედან აქვს გაყრილი და მეორე მხარეს გამოსული. რისთვის? ჭაში ჩაყარა მკვდრები, ზევიდან კიდევ, უზარმაზარი ქვები გამზადებული ჰქონია, დამარხა ამ ქვებში, – ამბობს მოკლული ქალის დედა.

# პუტინი არაობიექტურ ინფორმაციას იღებს



ამერიკული გაზეთის „უოლ სთრით ჯორნალის“ ცნობით, ვლადიმერ პუტინი ყოველდღიურად სამხედროებისაგან დაწვრილებით ინფორმაციას იღებს.

„უოლსთრით ჯორნალის“ ცნობით, სამხედროები პუტინს უმალავენ რეალურ ვითარებას. ამის ნაცვლად აწვდიან იმ ინფორმაციას, რომლის მოსმენაც რუსეთის დიქტატორს სურს.

# ბრძოლა უკრაინის სამხრეთშიც გრძელდება

უკრაინის სამხრეთ რეგიონშიც სასტიკი ბრძოლებია. რუსმა ოკუპანტებმა სცადეს ხერსონისაკენ კონტრშეტევის განხორციელება. ეს მათ ძვირად დაუჯდათ. უკრაინელებმა 450 ოკუპანტი მოსპეს. რუსებიც იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. პასუხად ოკუპანტებმა ხერსონს ქვემეხები დაუშინეს.

– შედეგად დაიღუპა 8 მშვიდობიანი მოქალაქე, დაინგრა საცხოვრებელი სახლები, ქალაქში გაქრა შუქი, – იტყობინება ტელეკომპანია „პრიამიი“.

უკრაინელი პარტიზანები სულ უფრო აქტიურდებიან ოკუპირებულ მელიტოპოლში, ბერდიანსკში და ა.შ. ბერდიანსკში აფეთქდა ვაგნერელთა ყაზარმა. დაიღუპა 70-მდე ვაგნერელი. მელიტოპოლშიააფეთქეს ადგილობრივი კოლაბორაციონისტების მეთაური. აფეთქებულია 12 რუსული ტანკი და ბმპ. ოკუპანტების ფეხქვეშ მიწა იწვის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მარცხის მიუხედავად, რუსეთის არმია შეტევების გაგრძელებას ცდილობს. შედეგი სავალალოა. ოკუპანტების რიგებში დანაკარგები გაიზარდა. დღეისათვის სურათი შემდეგია:

ტანკები – 3.006 (+1),
არტილერია – 1.988,
ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები – 212,
თვითმფრინავები – 283,
ვერტმფრენები – 267,
ფრთოსანი რაკეტები – 653,
განადგურებულია – 101.430 ოკუპანტი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# 30 წლის მამინაცვალი 11 წლის გერზე სექსუალურად ძალადობდა



მეზობლების შეტყობინების საფუძველზე, ახალგაზრდა მამაკაცი თბილისის ერთ-ერთ უბანში დააკავეს. ადგილზე საპატრულო პოლიცია მას შემდეგ გამოცხადდა, რაც ანონიმური ზარის ავტორმა სამართალდამცველებს აცნობა, რომ ერთ-ერთ ბინაში არასრულწლოვნის მიმართ სისტემატურად ძალადობდნენ.

30 წლის მამაკაცის მიმართ გამოძიება არასრულწლოვანზე ფიზიკური ძალადობის მუხლით დაიწყო, თუმცა „კურიერისთვის“ ცნობილი გახდა, რომ მას დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ახალი ბრალი წარუდგინეს. ბრალის დამძიმების საფუძველი ექსპერტიზის დასკვნა გახდა.

აღმოჩნდა, რომ 11 წლის გოგონას მიმართ საკუთარი მამინაცვალი სექსუალურადაც ძალადობდა. მოზარდი გამოძიებამ ფსიქოლოგის თანდასწრებით დაკითხა. დაზარალებულმა მამინაცვლის მხრიდან ფიზიკური და სექსუალური ძალადობის ფაქტები დაადასტურა.

სახლი, სადაც 11 წლის ბავშვზე ძალადობდნენ, ახლა დაკეტილია. ადგილობრივები „კურიერთან“ ამბობენ, რომ სახლიდან ხშირად ისმოდა ბავშვის ტირილის და უფროსების ჩხუბის ხმა. სავარაუდოდ, სწორედ ეს გახდა პოლიციაში ანონიმური შეტყობინების მიზეზიც.

გამოკითხვებით დგინდება, რომ მამინაცვლის გარდა, არასრულწლოვანზე ფიზიკურად ძალადობდა დედაც. მას პოლიციამ შემაკავებელი ორდერი გამოუწერა და შვილთან კომუნიკაცია აუკრძალა. ძალადობის მსხვერპლი ბავშვი ახლა თავშესაფარშია, შემზარავ დანაშაულში მხილებული მამინაცვალი კი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მას ბრალის დადგენილება დღეს გლდანის მერვე დაწესებულებაში გააცნეს. დაზარალებულის ჩვენების და ექსპერტიზის დასკვნის მიუხედავად, ის დანაშაულს არ აღიარებს.

არასრულწლოვანის მიმართ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის საქმის განხილვა, სასამართლოში, სავარაუდოდ, მომავალ თვეს დაიწყება. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ბრალდებულს 15-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება.

# გორის გვირაბთან მანქანას ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად დაიწვა



გორის გვირაბთან მანქანას ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად დაიწვა. არსებული ინფორმაციით, მგზავრებმა გადმოსვლა მოასწრეს.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

# შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს უნდობლობას უცხადებს“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს უნდობლობას უცხადებს და მისგან ბიოლოგიური ნიმუშების აღებაზე კვლავ უარს ამბობს.

როგორც სააკაშვილის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ კლინიკა „ვივამედიდან“ გამოსვლის შემდეგ განაცხადა, ვინაიდან ყოფილი პრეზიდენტის ციხეში შესაძლო მოწამვლასთან დაკავშირებით ეჭვი არსებობს, ისინი სახელმწიფო უწყების ექსპერტიზას უნდობლობას უცხადებენ.

– გახსოვთ, ერთხელ უკვე აიღეს სისხლის ანალიზი, ჩვენ ნებართვა მივეცით, გაირკვა, რომ თურმე, ეს სისხლი საკმარისი არ არის. თვითონ ვერ იყვნენ ჩამოყალიბებული, ახლა ჩამოყალიბებული აქვთ პოზიცია სამხარაულის საექსპერტო ბიუროსთან, ამაზე ჩვენ უარი რამდენიმე მოტივით ვუთხარით და ჩვენი ალტერნატივა შევთავაზეთ. ნიმუშების აღებაზე უარს არ ვეუბნებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული საექსპერტო დასკვნის მიხედვით, სააკაშვილის მოწამვლა პენიტენციურ დაწესებულებაში, ანუ სახელმწიფო დაწესებულებაში მოხდა, თუკი ეს სახელმწიფო დაწესებულებაში მოხდა, სახელმწიფომ ექსპერტიზა როგორ უნდა ჩაუტაროს. შესაბამისად, შევთავაზეთ, ევროპული სახელმწიფოების, ასევე აშშ-ის რომელიმე ავტორიტეტული საექსპერტო ბიუროდან ექსპერტები ჩამოიყვანონ, მათ აიღონ ნიმუშები, ჩემ თვალწინ დალუქონ, ამას დაასწრონ ჩვენი ექსპერტები, წაიღონ და უცხოეთში ჩაატარონ. საგამოძიებო მოქმედებაზე უარი არ გაგვიცხადებია, უბრალოდ, უნდობლობას ვუცხადებთ სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებას, რომლის ხელმძღვანელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერი.



გარდა ამისა, ჩვენ მიერ მოპოვებული დოკუმენტებით, სამხარაულს არ გააჩნია უფლებამოსილება, მძიმე მეტალებზე საექსპერტო დასკვნა ჩაატაროს, ეს ინფორმაცია მათ საიტზე უდევთ. საინტერესოა, ჩვენი განცხადების შემდეგ, გაჩნდება თუ არა ახალი დოკუმენტი, რომლითაც უფლება მიეცემათ მსგავსი ტიპის ექსპერტიზის ჩატარებაზე.

უნდობლობას ვუცხადებთ არა გამოძიებას, არამედ საექსპერტო დაწესებულებას ორი მოტივით. პირველი, ამ ექსპერტიზის ჩატარების სათანადო ნებართვები არ გააჩნიათ. მეორე, თავად საექსპერტო ბიურო უნდობლობას იწვევს, რადგან სახელმწიფო სისტემაშია სააკაშვილი მოწამლული და იგივე სახელმწიფო სისტემაში დაქვემდებარებული საექსპერტო ბიურო მიკერძოებული იქნება, ყალბ დასკვნას დადებს, – განაცხადა ხაჭაპურიძემ.

# ამოღებულია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი, დაკავებულია 6 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს და 6 პირი დააკავეს. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების მთავარი სამმართველოს და საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1958 წელს დაბადებული ნ.ა. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ ნ.ა.-ს სახლში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 2 მჭიდი და 27 ვაზნა.



ამავე სამმართველოების თანამშრომლებმა ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს 1985 წელს დაბადებული ი.ლ.-ც. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს პისტოლეტი, მჭიდი და ვაზნები.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1982 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის, მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ნ.შ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 16 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1984 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ც.მ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ თბილისში, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 6 ვაზნა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული ნ.ქ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ნ.ქ.-ის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე, 70 ვაზნა.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა 1962 წელს დაბადებული თ.ტ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს.

პოლიციამ, თ.ტ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი და 2 ვაზნა. დანაშაულები 3-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს.

# „ბირჟა მაფიას“ საქმეზე პროკურატურამ სასამართლო წააგო

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის განცხადებით, საერთო სასამართლოებში „ბირჟა მაფიის“ საქმეზე გიორგი ქებურიას 4-წლიანი დავა მისი გამარჯვებით დასრულდა. დავის ფარგლებში იგი საქართველოს გენერალური პროკურატურისგან მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა, რაც დაკმაყოფილდა.




– საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ ძალაში დატოვა ამავე საქმეზე სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქართველოს გენერალურ პროკურატურას გიორგი ქებურიას სასარგებლოდ, უკანონო დაკავების, უკანონო პატიმრობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გამო მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით 24 140 ლარის გადახდა დააკისრა, – აღნიშნავენ ორგანიზაციაში.

პროექტ Birja MAfia-ს წევრები 2017 წლის ივნისში მას შემდეგ დააკავეს, რაც გამოვიდა მათი ახალი კლიპი Tsl Shavi Zeda, სადაც ერთ-ერთ კადრში პოლიციელს ძაღლის საყელური უკეთია. გიორგი ქებურია და მიშკა მგალობლიშვილი ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს, თუმცა მუსიკოსები თავიდანვე ამბობდნენ, რომ ნარკოტიკი ჩაუდეს, რათა კლიპისთვის შური ეძიათ.

Birja Mafia-ს წევრების დაკავებას საპროტესტო აქციები მოჰყვა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ორივეს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა, რამდენიმე დღეში კი პატიმრობა გირაოთი შეუცვალეს.

18 დეკემბერს, პროკურატურამ როგორც გიორგი ქებურიას, ასევე, მიშკა მგალობლიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა და განმარტა, რომ ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ მოიპოვეს.

# „ლავასოღლის“ გადაწყვეტილება „არაქურდულად“ ცნეს

ქურდული გარჩევა ყალბი ოქროს მონეტებისთვის – „შაბათის ეთერის“ ინფორმაციით, 2 კილოგრამი ყალბი ოქროს გამო დაწყებული საქმის გარჩევა ე.წ. კანონიერი ქურდებისთვის ლავს ოღლისა და ჯეირან კინწურაშვილისთვის მძიმე შედგით დასრულდა.



„ქართული ოცნების“ მეგობარი ქურდები არაქურდული გადაწყვტილების მიღებაში არიან ბრალდებულები. შავი სამყაროს ე.წ. კანონების დარღვევაში ისინი გავლენიანმა ავტორიტეტმა ზვიად პაპიაშვილმა, იგივე „ზვიად თბილისკიმ“ ამხილა.

ოქროს 500 მონეტის ამბავი თურქეთში დაიწყო და ლოტკინის ფერდზე, ქურდული გარჩევით დასრულდა. ირკვევა, რომ მერსინში, საქართველოს ოთხმა მოქალაქემ – ამირან ჯაფარიძემ, გიორგი ნამგალაძემ, მერაბ გიორგაძემ და ვახტანგ აბშილავამ, ოქროს სირიელი ვაჭრისგან ძვირფასი ლითონი იაფად იშოვეს და ეს ამბავი ბათუმელ ოქრომჭედელს ლევან აბულაძეს უთხრეს. ბაჯაღლოს სირიელი მოვაჭრე ისე იაფად ყიდდა, რომ ოქრომჭედელმა 500 მონეტა შეუკვეთა.

102 ათასი დოლარი, ოქრომჭედელმა ბაჯაღლოში გადაიხადა და მონეტებიც ბათუმში ჩამოვიდა, თუმცა, როდესაც საქმეს შეუდგა, ოქროს დნობის და ნაკეთობების დამზადების დროს აღმოაჩინა, რომ ის, რაც თურქეთიდან ჩამოუტანეს, არა ოქრო, არამედ სხვა ლითონი იყო. ლევან აბულაძემ ფულის უკან დაბრუნება მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო.

ამის შემდეგ ოქრომჭედელი, რომელიც თავს გადაგდებულად თვლიდა, პოლიციის ნაცვლად კავშირზე ბათუმელ ქურდებთან, მინდია ლავას ოღლისთან და და ჯეირან კინწურაშვილთან გავიდა. საქმის პირველი გარჩევა თურქეთის ქალაქ ხოფაში დაიგეგმა. საქართველოს საზღვართან ახლოს ჯეირან კინწურაშვილი და „ლავასოღლი“ ერთად ჩავიდნენ.

ხოფაში დაპირისპირებულმა მხარეებმა სადავო ოქროს მონეტებიც ჩაიტანეს. .ე.წ. კანონიერმა ქურდებმა გარჩევის ბოლოს მონეტები დაიტოვეს, დავა კი ოქრომჭედლის სასარგებლოდ გადაწყვიტეს. მოწინააღმდეგე მხარეს „ლავასოღლის“ და „ჯეირანას“ ვერდიქტის მიხედვით თანხის უკან დაბრუნება დააკისრეს.

ლავას ოღლის და ჯეირანას ვერდიქტი ამირან ჯაფარიძემ თბილისელ კანონიერ ქურდთან ზვიად პაპიაშვილთან, იგივე „ზვიად თბილისკისთან“ გაასაჩივრა. სანამ პაპიაშვილი გადაწყვეტილებას გამოიტანდა, ლავას ოღლის დაჯგუფებამ ქურდული სამართლის აღსრულება ჯაფარიძის შანტაჟით, მუქარით და იძულებით გადაწყვიტა.

ე.წ. ქურდული გარჩევა ამ მოთხოვნით ქობულეთში ერთ-ერთ რესტორანშიც გაიმართა.

მოვლენები დრამატული სცენარით მას შემდეგ განვითარდა, რაც ორი ბათუმელი ქურდის გადაწყვეტილების გადასინჯვა „ზვიად თბილისკიმ“ დაიწყო. შეხვედრაზე ორი კილო ოქროს გამო დაპირისპირებული მხარეები ლოტკინის ფერდზე მდებარე სახლში დაიბარეს, ლაითურის ქუჩაზე შეკრებილებს, სკაიპით ჩაერთო „ზვიად თბილისკი“. გარჩევას თბილისიდან და ბათუმიდან შავი სამყაროს ტრადიციების მატარებელი ესწრებოდა. ოქრომჭედელი გაამტყუნეს, ორივე მხარეს კი ქურდული სამყაროსთვის საქმის გარჩევის საფასურის 5 000 დოლარის გადახდა დააკისრეს.

ლაითურის ქუჩაზე ქურდული ვერდიქტის გამოცხადების დროს, ე.წ. ძველ ბიჭებზე პოლიცია უკვე ოპერატიულ თვალთვალს ახორციელებდა. შეხვედრის მონაწილეების დიდი ნაწილი სამართალდამცველებმა იმავე დღეს აიყვანეს. თუმცა გომელაურის უწყებას არ დაუკავებია ოქრომჭედელი, ადამიანი, რომლის ინიციატივითაც ყალბი მონეტების საქმის გარჩევაში შავი სამყაროს წარმომადგენლები ჩაერთნენ.

ოქროს გამო დაწყებულ ქურდულ გარჩევას ქურდული სამყაროს ორ ჯგუფს შორის დაპირისპირება მოჰყვა, 500 მონეტა, რომელიც ოქრო ეგონათ და სპილენძი აღმოჩნდა, ახლა ჯეირან ხონსკისთან ინახება.

## კალეიდოსკოპი

### მამა შვილის ალმოდებული სახლიდან გადარჩენის მცდელობას შეეწირა



ამერიკის ჯორჯიის შტატის მკვიდრი ტომას ჰოუკი იმ დროს დაიღუპა, როდესაც ალმოდებული სახლიდან შვილის გამოყვანას ცდილობდა.

16 დეკემბრის საღამოს ტომასი თავისი სახლიდან შორიახლოს მამასთან ტომისთან იმყოფებოდა, როდესაც მას შეშინებულმა შვილმა ერიკმა დაურეკა. ბიჭმა უთხრა, რომ მათ სახლში ხანძარი გაჩნდა და ის სახლიდან გამოსვლას ვერ ახერხებდა. მამა მაშინვე გაიქცა შვილის დასახმარებლად. ტომასმა ალმოდებულ სახლში სახეზე ხელებაფარებულმა შეირბინა. ტომი კი გარეთ იცდიდა. მან დაინახა, რომ ერიკი ფანჯარაზე აკაკუნებდა და შველას ითხოვდა. ფანჯარა კონდიციონერით იყო ჩახერგილი. სწორედ ამიტომ ვერ ახერხებდა მოზარდი გარეთ გამოსვლას. ერიკის პაპამ კონდიციონერი გამოანგრია, ფანჯარა გახსნა და მოზარდი გარეთ გამოიყვანა. შემდეგ ის სახლში შესვლას შეეცადა, რათა შიგნით შესული ტომასი მოეძებნა, მაგრამ ცეცხლმა და ძალიან მაღალმა ტემპერატურამ ამის საშუალება არ მისცა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სახანძრო რაზმმა ხანძარი ჩააქრო და შვილის საძინებლის კართან მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს. სავარაუდოდ, ტომასი ბოლისა და მაღალი ტემპერატურისგან მანამდე დაიღუპა, სანამ იქამდე ცეცხლი მიაღწევდა. ერიკმა ამ შემთხვევის შედეგად სასუნთქი გზების მნიშვნელოვანი დაზიანებები მიიღო და ის საავადმყოფოში იქნა მოთავსებული.

### 15 წლის გოგონას გაუპატიურებასა და მკვლელობაში დამნაშავე სასამართლოში 47 წლის შემდეგ აღმოჩნდა

დიდ ბრიტანეთში გაასამართლეს მამაკაცი, რომელმაც 1975 წელს 15 წლის გოგონა გააუპატიურა და მოკლა.



ჟაკლინ მონტგომერის ცხედარი ლონდონში საკუთარ სახლში მამამ აღმოაჩინა. გოგონა გააუპატიურეს, დანით დასერეს და შემდეგ გაგუდეს. მთავარ ეჭვმიტანილად მაშინვე დენის მაკგრორი მიიჩნიეს, რომელიც იმ დროს 28 წლის იყო. ის ბევრს სვამდა და გაუწონასწორებელი ხასიათით გამოირჩეოდა. გამოძიების ვერსიით, ის მონტგომერის სახლში ჟაკლინის დეიდის, ჟოზის სანახავად მივიდა, რომელსაც ადრე ხვდებოდა. სავარაუდოდ, გოგონამ მაკგრორის არ უთხრა თუ სად იმყოფებოდა დეიდა და ამრიგად მისი მსხვერპლი გახდა.

47 წლის მაკგრორი დააპატიმრეს, თუმცა სასამართლომ გაუპატიურების და მკვლელობის საქმე ერთი წლის შემდეგ შეწყვიტა, საქმეში პირდაპირი მტკიცებულებების არ ქონის გამო. ასევე, თავად ეჭვმიტანილიც არ აღიარებდა საკუთარ დანაშაულს. ამ საქმეს ვერც იმან უშველა, რომ ჟაკლინის დღიურიდან ფურცელი იყო ამოგლეჯილი, ხოლო დაკავების დროს მამაკაცს სახეზე, ხელებსა და მკერდზე ნაკაწრები, დალურჯებები და ორთაბრძოლის სხვა ნიშნები აღენიშნებოდა. ამაზე მან განაცხადა, რომ მას უცნობი პირების ჯგუფმა სცემა.

თუმცა გამომძიებლებმა შეინახეს დაღუპულის სხეულიდან აღებული ბიოლოგიური მასალები და ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მათი კოლეგები განმეორებით გამოძიებას აწარმოებდნენ. საბოლოოდ ჩატარდა დნმ-ის ტესტი და აღმოჩენილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ გოგონას სწორედ მაკგრორი გაუსწორდა. ქალაქ ჰანტინგდონში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამი საათი დასჭირდა იმისთვის, რომ უკვე ხანშიშესული მამაკაცი, რომელიც ამჟამად 74 წლისაა, დამნაშავედ ეცნო. საბოლოო განაჩენს მას 2023 წლის იანვარში გამოუტანენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# დამანგრეველი პროცესები რუსეთის არმიაში



რუსეთ-უკრაინის ომი გაჭიანურდა. ამას უკვე მოსკოვშიც აღიარებენ. მეტიც, დიქტატორი პუტინი აშკარად აცხადებს, რომ ომის გაჭიანურება რუსეთის ეროვნულ ინტერესებშია.

– უკრაინელებს რომ ჭკუა ჰქონოდათ, კიევს მართლა სამ დღეში ჩაგვაბარებდნენ! ამით იმ მსხვერპლსა და ნგრევას აიცილებდნენ, რაც უკრაინას თავს დაატყდა და მომავალშიც დაატყდება!

პუტინმა კურსი ხანგრძლივი ომისაკენ აიღო. ამ დროს საგანგებოდ ხდება უკრაინული ენერგოსისტემის განადგურება. მოსკოვში დარწმუნებულნი არიან, რომ ზამთრის სუსხში, სიბნელეში დარჩენილი უკრაინელი მოსახლეობა ქუჩაში გამოვა და ზელენსკის მოსკოვთან ზავის დადებას მოსთხოვს. თუმცა საღად მოაზროვნე რუსები აღიარებენ, რომ ეს არარეალურია.

– ზელენსკიმ ნაციონალისტური ელემენტი შეაიარაღა! ისინი დაუნდობლად უსწორდებიან ყველას, ვინც ზავის თაობაზე წამოკნავლებას გაბედავს, – ამბობს გასამხედროებული კომპანია ვაგნერის შეფი პრიგოჟინი.

ვაგნერელთა წინამძღოლის აზრით, მასობრივი გამოსვლები დღევანდელ უკრაინაში არარეალურია. გაცილებით რეალისტურია სხვა სცენარი, როცა შიმშილით, სიცივით, უშუქობით გაწამებული უკრაინელები საცხოვრებელი ადგილებიდან აიყრებიან და ევროპას მიაშურებენ. ემიგრანტების რაოდენობა, პრიგოჟინის აზრით, 18 მილიონს მიაღწევს (დღეისათვის ის მხოლოდ 8 მილიონია). ევროპა ემიგრანტების მოზღვავების ამხელა ტალღას ვერ გაუძლებს.

– დასავლეთიც უკრაინაზე ზეწოლას განახორციელებს, რათა რუსეთთან კონფლიქტი დიპლომატიური საშუალებებით მოაგვაროს, – აცხადებს პრიგოჟინი.

ასეთია პუტინისა და მისი გუნდის ახალი ტაქტიკა.

ამერიკელი ექსპერტები ამას არ ეთანხმებიან. აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის თანამშრომლებმა საგანგებოდ მოინახულეს უკრაინა. ისინი რუს ტყვეებს ესაუბრნენ. ამერიკელები ელდანაცემები იყვნენ იმ სურათით, რაც იხილეს. რუსი ჯარისკაცები გაუნათლებელ, გაუწვრთნელ, გაბოროტებულ მასას წარმოადგენენ. მათ ომი არც იციან და არც სურთ. პოზიციებზე მათ მხოლოდ ტერორი ერეკებათ. ოფიცრები მცირეოდენი გაურჩების შემთხვევაში ჯარისკაცებს ყოველგვარი სასამართლოს გარეშე ხვრეტენ. ვინც ბრძოლის ველიდან გაქცევას შეეცდება, მათ ე.წ. საველე დამცველი რაზმები უსწორდებიან. ისინი ძირითადად რამზან კადიროვის ბანდიტებით არიან დაკომპლექტებულნი.

– შედეგად რუსეთის არმიაში გაიზარდა ბზარი ერთი მხრივ ჯარისკაცებისა და ოფიცრების, მეორე მხრივ, რეგულარული არმიისა და ფირმა ვაგნერის ბოევიკების ან კადიროვის ბანდას შორის, – ასკვნის აშშ-ს ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

ამერიკელი ექსპერტები აკეთებენ პარალელს დღევანდელ რუსულ არმიასა და 1917 წლის იანვარში არსებულ რუსეთის იმპერიის ჯარს შორის. ისევე, როგორც მაშინ, დღევანდელი რუსული არმია იშლება. როგორც ცნობილია, 1917 წელს ყოველივე რევოლუციითა და თვითმპყრობელობის დამხობით დამთავრდა. რა მოხდება ახლა? რუსეთი განაბულია, ავისმომასწავებლად განაბული.

# ბაიდენმა პუტინთან შეხვედრის პირობები წამოაყენა



აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ მზადაა რუსეთის დიქტატორ პუტინს ვაშინგტონში შეხვდეს. ამავე დროს, აშშ-ის პრეზიდენტმა საამისო პირობებიც წამოაყენა. მან მოითხოვა, რომ რუსეთმა შეწყვიტოს საომარი მოქმედებები და უკრაინასთან მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს.

– ამ მოლაპარაკების დაწყება უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის აღიარების საფუძველზე უნდა მოხდეს, – თქვა ბაიდენმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთს ომის მოგების არავითარი შანსი არა აქვს.

– ამიტომაც მოლაპარაკებები პუტინისათვის საუკეთესო გამოსავალია, – მიიჩნევს ბაიდენი.

# აშშ უკრაინისათვის დახმარებას გააგრძელებს



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა, რომ აშშ უკრაინისათვის დახმარებას გააგრძელებს მანამ, სანამ ეს საჭირო იქნება.

– შედეგად უკრაინული არმია კიდევ უფრო გაძლიერდება! რუსეთიც მიხვდება, რომ ომით ვერას გახდება, – აცხადებს ბლინკენი.

ამის შემდეგ მოსკოვი უკვე რეალურ მოლაპარაკებებსა და არა დიქტატზე წავა. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ იქნება ამ დროს რუსეთის ხელისუფალი, პუტინი თუ ვიღაც სხვა.

– რუსეთ-უკრაინის კონფლიქტსაც საბოლოო წერტილს დიპლომატია დაუსვამს, – აცხადებს ბლინკენი.

აშშ-ის სენატმა 2023 წლის ბიუჯეტი მიიღო. ის 1,7 ტრილიონ დოლარს მოიცავს.

ბიუჯეტში ჩადებულია დახმარება უკრაინისა და აშშ-ის სხვა მოკავშირეთათვის. ის 44 მილიარდ დოლარს შეადგენს.

# ოკუპანტებმა დონბასისკენ დამატებითი ძალები გადაისროლეს

გააფთრებული ბრძოლებია დონბასში. ყველაზე სისხლისმღვრელი ხასიათი მათ აქვთ ბახმუტთან. პუტინის ბრძანებით, ამ ქალაქისაკენ დამატებითი ძალები გადაისროლეს. შედეგად რუსმა ოკუპანტებმა რიგი სოფლების დაკავება შეძლეს. კერძოდ, მტრის ხელში აღმოჩნდა იაკოვლევკა. შეტაკებები არ წყდება ოზორიანოვკას მახლობლადაც. მიუხედავად ამისა, რაიმე სტრატეგიულ წარმატებას ოკუპანტებმა ვერ მიაღწიეს. ბახმუტთან ნამდვილი ჯოჯოხეთია, თუმცა უკრაინელები ქალაქს მაინც ინარჩუნებენ.

სისხლისმღვრელი ბრძოლებია ავდეევკასთანაც. რუსები ცდილობენ ავდეევკა მოაქციონ ე. წ. კოტიოლში. მცდელობა კვლავ წარუმატებელია. ოკუპანტები დიდ ზარალს განიცდიან.

მესამე ცხელი წერტილი უგლეგორსკია. აქ ვითარება კვლავ იძაბება, თუმცა რუსმა ოკუპანტებმა ქალაქთან ხელსაყრელი პოზიციების დაკავება ვერ შეძლეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

## დიდკბილებიანი თევზი მყვინთავს თავს დაესხა



ეგვიპტის პოპულარული კურორტის შარმ-ელ-შეიხის მახლობლად დიდკბილებიანმა თევზმა მყვინთავი დაკბინა.

თევზი აშშ-ის მოქალაქეს, 31 წლის ალექს პიკულის დაესხა თავს. ის სხვა მყვინთავებთან ერთად წყლის სიღრმეში იმყოფებოდა, როდესაც ძლიერმა დინებამ აიძულა, კურის შეეცვალა. პიკულმა გვერდით ჩაუცურა ზურგრქიანის ქვირთებს და შემთხვევით მათ შეეხო. როდესაც ეს თევზმა შენიშნა, ჩათვალა, რომ მამაკაცი მისი შთამომავლობისთვის საფრთხეს წარმოადგენდა და თავს დაესხა. წყალქვეშ გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ კბენს თევზი მყვინთავს.

– მომეჩვენა, რომ მან კანი გამიჭრა და ფეხიდან სისხლი წამომივიდა, ვიდეოში ისმის ჩემი ყვირილის და გინების ხმა, – გაიხსენა მყვინთავმა.

მიუხედავად ძლიერი დინების და თევზის კბენისა, პიკული ამტკიცებს, რომ ეს მის ცხოვრებაში წყალქვეშ ყველაზე საუკეთესო ჩაყვინთვა იყო. ის არ არის გაბრაზებული ზურგრქიანზე, ვინაიდან ის თავის ქვირითს და ამით საკუთარ შთამომავლობას იცავდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**„სანოტარო ბიუროში გახსნილია სამემკვიდრეო საქმისწარმოება 2021 წლის 13 ივნისს გარდაცვლილი გარიკ დავიდოვის დანაშთ ქონებაზე. გარიკ დავიდოვის სამკვიდროს მისაღებად მისმა მემკვიდრეებმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართონ ნოტარიუს ზაალ ზაქარაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე – ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, №47“.**

## სპორტი

# საზონოვი და აზაროვი პერსპექტიულთა სიაში მოხვდნენ



სპორტის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა მსოფლიოს 200 ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ ორ ასეულ ფეხბურთელთა შორის მხოლოდ ორი ჩვენებური მოხვდა – საბა საზონოვი და ირაკლი აზაროვი.

რეიტინგში 21 წლამდე ასაკის 200 ფეხბურთელი 20 სხვადასხვა პოზიციაზე ტოპ 10-ში ინდექსის მაჩვენებლით გადანაწილდა. მაჩვენებელი რამდენიმე პუნქტით გამოითვლებოდა: მოედანზე გატარებული წუთების რაოდენობა, წარმატებული შეტევები, მოგებული ერთჯერადი ბრძოლები, დარტყმები და ა.შ.

ცენტრალურ მცველებში საქართველოს ნაკრების ახალწვეული, მოსკოვის დინამოს ფეხბურთელი საბა საზონოვი 17,4 ინდექსით მეშვიდე ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ საზონოვმა ახლახან უარი რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშზე თქვა და არჩევანი საქართველოს სასარგებლოდ გააკეთა.

მარცხენა მცველების ტოპ 10-ში ირაკლი აზაროვი მოხვდა. ცრვენა ზვეზდას ფეხბურთელი 16.4 ინდექსით მეხუთეა.

# შარიქაძე ექვსი მატჩით დასაჯეს



საქართველოს ნაკრებისა და შავი ლომის კაპიტანი მერაბ შარიქაძე რაგბი ევროპამ ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

ქართველი მორაგბე დასჯას მატჩშივე გადაურჩა. საქმე ის არის, რომ რაგბი ევროპის სუპერთასზე შავი ლომისა და თელ-ავივის ჰიტის შეხვედრისას, შარიქაძემ მეტოქის მგეზავ ჯორდან ჩაიტს სახეში თავი ჩაარტყა.

ეს ეპიზოდი მსაჯებს შეუმჩნეველი დარჩათ და შარიქაძე გაძევებას გადაურჩა, მაგრამ რაგბი ევროპის სადისციპლინო კომიტეტს არ გამოპარვია. მსგავს დანაშაულებზე სასჯელი უფრო მეტია – 10-კვირიანი დისკვალიფიკაცია, მაგრამ ევროპული რაგბის მამებმა შარიქაძეს სუფთა წარსული არ დაუკარგეს და სასჯელი ექვს მატჩამდე შეუმცირეს.

ესეც საქმეა, რადგან შარიქაძეს ნაკრების სახელით მხოლოდ სამი მატჩის გამოტოვება მოუწევს – რაგბი ევროპის ჯგუფურ ტურნირზე გერმანიასთან, ნიდერლანდებსა და ესპანეთთან. კიდევ სამ მატჩს შარიქაძე საქართველოს ჩემპიონატში გამოტოვებს, რადგან ამ დროისთვის პირველ ლიგაში მოასპარეზე კიკეთის იუნკრებში ირიცხება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## საზოგადოება

# უსინათლოთა კულტურის ცენტრიდან მომღერლები გაუშვეს

უსინათლოთა კულტურის ცენტრში, კონკურსის მომიზეზებით, 2 პროფესიონალი მომღერალი ანსამბლიდან გაუშვეს.

ინფორმაცია უსინათლოთა კულტურის ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა ცირა ვეფხვაძემ გაავრცელა:

– თამარ შეუპოვარმა გადირექტორებისთვის დადებული პირობა მორიგი „წარმატებული ნაბიჯით“ განამტკიცა: კონკურსის მომიზეზებით ორ პროფესიონალ მომღერალს დაატოვებინა ანსამბლი. სამწუხაროა, რომ კულტურის ცენტრის თანამშრომლებს მეგობრების გაწირვით გაზრდილი ხელფასების სიხარულმა თანაგრძნობის ბუნებრივი გრძნობა ჩაუკლა. ალბათ არც კი ეჭვობენ, რომ ხვალ თუ ზეგ ისინიც გაიწირებიან.

2023 წელს 63 ათასით მეტი ექნება ცენტრს შემოსავალი, რომლითაც თანამშრომელთა შეუმცირებლად შეიძლებოდა ხელფასების 20 პროცენტით გაზრდა, ამასთან, ერთნაირი სამუშაოს შემსრულებელთათვის მნიშვნელოვნად განსხვავებული ანაზღაურების გარეშე. მაინც მტკიცედ მჯერა, უსამართლობა დიდხანს ვერ გაგრძელდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

## კურორტიდან გაძევებული დათვი უკან საშობაო ნამცხვრისთვის დაბრუნდა



გარეული დათვი, რომელმაც იტალიური სამთო-კურორტ როკარაზოში ორცხობილები მოიპარა და ამის გამო ის იქიდან გააგდეს, მალე უკანვე დაბრუნდა საშობაო ნამცხვრისთვის.

დათვი პირველად კურორტზე 2021 წლის დეკემბერში გამოჩნდა. მაშინ ის დაიჭირეს და სხვა რაიონში მდებარე ვოლიერში მოათავსეს. თუმცა მალე გაუშვეს. სულ რამდენიმე დღეში ის როკარაზოში დაბრუნდა. ის ისევ მოაშორეს კურორტს, მაგრამ მან ყველა გააოცა თავისი სიჯიუტით. დათვმა 150 კილომეტრი გაიარა საშობაო ნამცხვრით პირის ჩასატკბარუნებლად.

გარკვეული დროის განმავლობაში მას ადგილობრივები აღარ შეუწუხებია, თუმცა ახლახან ისე გამოჩნდა პანეტონეს დასაგემოვნებლად.

ამჯერად ადგილობრივებს გაძევებული დათვის ვიზიტი აღარ გაკვირვებიათ და მას სახელიც კი შეარქვეს, ხუან კარიტო.

– დათვი ტყიდან რესტორნის მახლობლად გამოვიდა, როგორც ჩანს, ის პანეტონეს სუნმა მიიზიდა, რომელსაც ჩვენს კულინარიულ სკოლაში ამზადებდნენ, – განაცხადა ადგილობრივი რესტორანის შეფ-მზარეულმა ნიკო რომიტომ. მისი თქმით, ცხოველს სრულიად არ ადარდებდა არც იქ მყოფი ადამიანები და არც ძაღლები, ის დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში დაბოდიალობდა დაწესებულების გარშემო.

## ქალმა კაზინოში მოგებული სოლიდური თანხა იქ მყოფთ დაურიგა



ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის მცხოვრებმა ქალმა კაზინოში დიდი თანხა მოიგო და ფული იქ მყოფ დილერებსა და მოთამაშეებს დაურიგა.

ქალმა პოკერში ხუთი დოლარი დადო და 1,6 მილიონ დოლარზე მეტი თანხა მოიგო. მან თანხა ყველაზე იშვიათ ძლიერ კომბინაცია ფლეშ-როიალში მოიგო. ქალმა მოგებული თანხა მიიღო, შემდეგ მივიდა პოკერის სათამაშო მაგიდასთან, მასზე 77 ათასი დოლარის შეკვრა დააგდო და იქ მყოფთ მიმართა: „მადლობა თამაშისთვის, ეს თქვენი ფულია“.

თუმცა ქალი ამით არ შემოიფარგლა, მან 100-100 დოლარი დაურიგა კაზინოში მყოფ ყველა მოთამაშეს.

– მისი ასეთი საქციელი შთამბეჭდავია წლის ამ დროს, განსაკუთრებით შობის დღესასწაულზე. მადლიერები ვართ, რომ ჩვენთან მოდიან ისეთი ადამიანები, როგორიც ეს ქალი იყო, – განაცხადა კაზინოს გენერალურმა მენეჯერმა გრეგ კლიაინმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ვილი სანიოლი: „ჯგუფიდან გასვლა საქართველოსთვის უდიდესი მომენტი იქნება“

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვილი სანიოლის იტალიური მედია ესაუბრა. ამ ინტერვიუს შემოკლებით გთავაზობთ.

**აი, რას წერს აპენინური მედია:**

– საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი, ვინც გუნდს 2021 წლის თებერვლიდან ხელმძღვანელობს, წარმატებული პროექტის ცენტრალური ფიგურაა. „ჯვაროსნები“ მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ, მაგრამ ამ პატარა, 4-მილიონიან ქვეყანას, იმედი აქვს, რომ დიდ ტურნირებზე მაინც ითამაშებს. ხვიჩა კვარაცხელიას მსგავსი მზარდი ვარსკვლავით ქართველები თავს უფლებას აძლევენ, ამ დიდ წარმატებაზე იოცნებონ...

თემურ ქეცბაია, შოთა არველაძე, კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ქინქლაძე – ამ ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელების ეპოქა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ უკვე რამდენიმე თვეა, ფრანგი სპეციალისტის ხელმძღვანელობით, საქართველოში გრძელვადიანი პროექტი ოცნების აღსასრულებლად ვითარდება – ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში. როცა ყურადღებით აკვირდები ნაპოლიში ხვიჩა კვარაცხელიას „აფეთქებებს“, ან გიორგი მამარდაშვილის გადარჩენილ ვალენსიას, ხვდები, რომ ბედისგან კეთილგანწყობა სულაც არ არის გამორიცხული.

**ვილი სანიოლი:**

– ხვიჩა ნამდვილად არის ის ფეხბურთელი, რომელზეც ყველა ყურადღებას ამახვილებს და ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მან განვითარების წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. მას ყოველთვის ჰქონდა შესანიშნავი თვისებები და იტალიურ ფეხბურთშიც მალე გაიარა ადაპტაცია. ახლა გოლის გატანის ალღოც გაიუმჯობესა. ჩვენ ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანია სტატისტიკა თანამედროვე ფეხბურთში.

კვარაცხელია ქართველი ახალგაზრდების სახეა. სეზონის შესანიშნავად დაწყების შემდეგ ის პროგრესს აგრძელებს, ნაპოლისათვის ულამაზესი სეზონის ერთ-ერთი მთავარი დირიჟორია.

ხვიჩა ძალიან ამბიციურია როგორც მინდორზე, ისე მის მიღმა. ეს გარკვევით ჩანს როგორც ვარჯიშებზე, ისე მისი ცხოვრების წესში. კვარაცხელიამ სწორი ბალანსი იპოვა. სხვა ფეხბურთელები ამბობენ, რომ სურთ, საუკეთესოები იყვნენ, მაგრამ ამისთვის ყველაფერს არ აკეთებენ, ხვიჩა კი აკეთებს.

კვარაცხელიას გარდა, სანიოლის კიდევ რამდენიმე, ძალიან საინტერესო ფეხბურთელი ჰყავს: გიორგი მიქაუტაძე (მეცი, 22 წლის), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, 23 წლის), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, 22 წლის), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, 20 წლის). თუმცა ყველაფერი ამით არ შემოიფარგლება...



– ჩვენ გვყავს რამდენიმე ძალიან საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი. მაგალითად, ლუკა პარკაძე. ის ბაიერნის აკადემიაშია. ვფიქრობ, მას დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ამავე დროს, ძალიან ბევრი შრომა მოუწევს. არის 20-21 წლის რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებსაც შეუძლიათ, ევროპის მთავარ ჩემპიონატებში ითამაშონ.

ერთა ლიგის ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა 6 შეხვედრაში 16 ქულა მოაგროვა და ყველა გააოცა. ამას დაემატა ის, რომ ქართველებმა შემტევი ფეხბურთი ითამაშეს. კვარაცხელიას მეთაურობით გუნდმა შედეგიანად ითამაშა და ბ დივიზიონში აინაცვლა.

– ჩვენ პირველ ადგილზე გასვლა გვსურდა, მაგრამ იმთავითვე ჩანდა, რომ ეს იოლი არ იქნებოდა, რადგან ჯგუფში მეტოქეებად გვყავდნენ ისეთი კარგი გუნდები, როგორებიც არიან ბულგარეთი და ჩრდილოეთ მაკედონია. ამ ტურნირმა აჩვენა, რომ ჩვენი ფეხბურთელები პროგრესირებენ.

2023 წლის მარტში სტარტს აიღებს ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, რომელშიც საქართველოს ნაკრების მეტოქეები იქნებიან ესპანეთი, შოტლანდია, ნორვეგია და კვიპროსი. რთული ჯგუფია, მაგრამ საქართველოს ნაკრებს შეუძლია, პირველად ითამაშოს დიდ ტურნირზე, რასაც ვერ ახერხებს დამოუკიდებლობის მოპოვების (1991) შემდეგ...

– ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჯგუფიდან გასვლა ძალიან რთული იქნება, რადგან ესპანეთი, ნორვეგია, შოტლანდია და კვიპროსი გვყავს. ესპანეთი, რა თქმა უნდა, ფავორიტია, მაგრამ არც სხვები არიან ხელწამოსაკრავი გუნდები. ჩვენ ფლეი ოფიდან გასვლის შანსიც გვაქვს. ჯგუფიდან გასვლა საქართველოსთვის უდიდესი მომენტი იქნება.

# ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები თებერვალში გაიმართება, კობიაშვილმა უეფასკენ გაიხედა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში (სფფ) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელზეც 2023 წლის საარჩევნო ყრილობის თარიღი დამტკიცდა. XXXIII საარჩევნო ყრილობა 4 თებერვალს გაიმართება. სფფ-ის წევრებს, პრეზიდენტობის, აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატებისა და ყრილობის დელეგატების წარსადგენად ვადა 2023 წლის 14 იანვრამდე აქვთ.

კომიტეტის სხდომაზე ასევე განიხილეს უეფას საკლუბო შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის სფფ-ის კლუბების ლიცენზირების დებულებების 2022 წლის რედაქციის დამტკიცების შესახებ. განახლებულ რედაქციაში, ეროვნული ლიგის 10 კლუბს მოთხოვნა მიეცა, შექმნან ქალთა გუნდები ან არსებულ ქალთა გუნდზე თუ საფეხბურთო სკოლაზე პატრონობა აიღონ.

ამასთან, ეროვნული ლიგის 10 კლუბთან ერთად, ქალთა ლიგის მოწინავე სამეულში მყოფ კლუბებს მოეთხოვებათ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით პოლიტიკის შემუშავება, რომელსაც კლუბის მიერ დანიშნულმა პირმა უნდა უხელმძღვანელოს.

სხდომაზე შეჯამდა 2022 წელი და დაიგეგმა მომავალი წლის მნიშვნელოვანი ღონისძიებები; სფფ-ის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა 2023 წლის ზაფხულში, საქართველოსა და რუმინეთში დაგეგმილი ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის შესახებ ისაუბრა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ გააცნო ინფორმაცია.

ამავე სხდომაზე გადაწყდა, რომ სფფ-ს პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი 2023 წელს უეფას აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

ამის შესახებ სფფ-ის გენერალურმა მდივანმა, დავით მუჯირმა აღმასრულებელი კომიტეტის წლის შემაჯამებელი სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

**დავით მუჯირი:**

– ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე გვაქვს, რომელიც დღეს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს გავაცანით. 2023 წელი საარჩევნო წელია უეფასა და ფიფაში. შესაბამისად, უეფაში გაიმართება როგორც პრეზიდენტის, ისე აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევნები. ფეხბურთის ფედერაციის ისტორიაში პირველად, გადავწყვიტეთ, რომ უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრობაზე სფფ-ის პრეზიდენტის, ლევან კობიაშვილის კანდიდატურა იქნება წარდგენილი. აღნიშნულთან დაკავშირებით, უკვე ვაცნობეთ ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოს. ლევან კობიაშვილის კანდიდატურა უეფას მიერ დადგენილ ვადებში ოფიციალურად იქნება წარდგენილი.



მინდა წარმატება ვუსურვო ჩვენს კანდიდატს. ის პროექტები, რომელიც მისი პრეზიდენტობის 7-წლიან ვადაში განვახორციელეთ, გვაძლევს იმის საფუძველს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მივიღოთ. ჩვენი მხრიდან, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ პირველად ისტორიაში, ქართველი გახდეს უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

შეგახსენებთ, რომ უეფას წესდების შესაბამისად, უეფას წევრი ასოციაციის ერთ მოქმედ თანამდებობის პირს შეუძლია უეფას აღმასკომის არჩევნებში მონაწილეობის მიღება. უეფას აღმასკომის წევრების არჩევა ხდება უეფას კონგრესის მიერ 4 წლის ვადით. უეფას 2023 წლის კონგრესი 5 აპრილს, პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში გაიმართება.

# ქართულ ჭადრაკს აკაკი იაშვილი უხელმძღვანელებს

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა, სადაც გაირკვა, რომ ქართულ ჭადრაკს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში აკაკი იაშვილი უხელმძღვანელებს. ყრილობას 49 დელეგატი ესწრებოდა, იაშვილს ხმა 48 მათგანმა მისცა.



იაშვილი აქამდე ჭადრაკის საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობდა: ოთხი წელი ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი იყო, ამჟამად კი ფიდეს განსაკუთრებულ დავალებათა დირექტორია.

ფედერაციაში რჩება ყოფილი პრეზიდენტი გია გიორგაძეც, რომელიც ამ თანამდებობაზე 14 წელი მუშაობდა. გიორგაძე ამიერიდან ვიცე-პრეზიდენტი იქნება, ხოლო გენერალურ მდივნად სოფიო გვეტაძე აირჩიეს.

**აკაკი იაშვილი:**

– პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს წინამორბედს, გია გიორგაძეს, რომელმაც საქართველოში ჭადრაკის განვითარებისთვის ბევრი რამ გააკეთა. ჩვენი დევიზი იქნება – ყველაფერი უმაღლესი შედეგისთვის.

ფედერაცია შედეგები გასაზრდელად მეტი ძალისხმევით ამუშავდება. რაც მთავარია, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა 2030 წლამდე ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დავიბრუნოთ. მესმის, რომ ამბიციური ამოცანაა, მაგრამ ამის რესურსი გაგვაჩნია.

ვიმუშავებთ ფედერაციის რებრენდინგზე, გავაძლიერებთ ძალისხმევას მარკეტინგის მიმართულებით, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჭადრაკი გაუტოლდეს ოლიმპიურ სახეობებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბავშვთა ჭადრაკს და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. 2023 წელს ბათუმში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი 8-18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში და მსოფლიო ჩემპიონატი საჭადრაკო კომპოზიციაში, რომელიც მიეძღვნება კომპოზიციების შედგენაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, დავით გურგენიძის 70 წლის იუბილეს.

კომპანია „სოკარი ენერჯი ჯორჯია“, შესაძლოა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის სპონსორად დაბრუნდეს. ამ თემაზე მუშაობა მიდის. ასევე ვმუშაობთ სხვა სპონსორების მოძიებაზეც. საჭადრაკო სფეროც ძალიან დააზიანა მთელ ქვეყანაში მიმდინარე ე.წ. ტვინების გადინებამ. შეიქმნა კვალიფიციური კადრების დეფიციტი. ჩვენი ამოცანაა ახალგაზრდა მწვრთნელების გადამზადება, რათა მათ თანამედროვე გამოწვევებს უპასუხონ. კარგად მუშაობს ბოლო წლებში დანერგილი მწვრთნელთა წახალისების სისტემა – მწვრთნელები მოსწავლეების შედეგების მიხედვით ღებულობენ ხელფასს მთელი წლის განმავლობაში.

განათლების და მეცნიერების სამინისტროს ბრძანებით, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში სავალდებულო საგნად ჭადრაკი დაემატა. უმოკლეს დროში მომზადდა ჭადრაკის სწავლების სტანდარტი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ შეარჩია და ტრენინგის ჩასატარებლად გადაამზადა ჭადრაკის 20-მდე სპეციალისტი.

დაბოლოს, მინდა, წარმატება ვუსურვო ქართველ მოჭადრაკეებს, რომლებიც უახლოეს დღეებში ყაზახეთში მიიღებენ მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატში სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ორი ოქრო იერუსალიმიდან

იერუსალიმის მასტერსი მეტნაკლებად წარმატებული გამოდგა საქართველოს დელეგაციისთვის. ორი ოქრო და ბრინჯაო – ასეთია ჩვენი მონაგარი.

ოლიმპიური კომიტეტისგან საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულმა ტატო გრიგალაშვილმა (81) ფინალში აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე საეიდ მოლაეი დამატებით დროში ვაზარით დაამარცხა და საქართველოს ჰიმნი ააჟღერა.

ოქროსკენ მიმავალ გზაზე ტატომ ჯერ უნგრელი ატილა უნგვარი დაამარცხა, ვისაც იტალიელი ანტონიო ესპოზიტო მიაყოლა, ნახევარფინალში კი, ფრანგ უმარ ალფა ჯალოს აჯობა.

ისრაელში გაშლილი ტატამის ერთ-ერთი გმირი ილია სულამანიძეა (100), ვინც ფინალში ნიდერლანდელი სემიონ კატერინა აშკარად დაჩაგრა, მუდმივად უტევდა, რასაც ნიდერლანდელი ვერაფრით პასუხობდა და მსაჯებმა სამი გაფრთხილებით მოხსნეს. ფინალამდე სულამანიძემ უნგრელი შომბორ ვეგი, აზერბაიჯანელი ელდარ გასიმოვი, ისრაელის წარმომადგენელი პეტერ პალჩიკი და არაბეთის გაერთიანებული საემიროების სახელით მოჭიდავე ჯაფარ კოსტოევი მიყოლებით დაამარცხა. 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში კი, ბრინჯაო ვირგუნეთ – ლუკა მაისურაძემ მესამე ადგილისთვის უზბეკი დავლათ ბობონოვი დაამარცხა და კვარცხლბეკზე შედგა. მანამდე მაისურაძემ თურქი მიჰაელ ზგანკი, სერბი ნემანია მაიდოვი და ებრაელი გიუ გურევიჩი გაიარა, ხოლო ნახევარფინალში ფრანგ ალექსის მეთიუსთან დამარცხდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ინდოელი მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 3. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 4. დიდი საორკესტრო მუსიკალური ნაწარმოები; 8. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 9. ცნობილი ქართველი რაგბის მსაჯი; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 12. მომღერალთა გუნდის ძველებური სახელწოდება; 14. აეროპორტი პარიზში; 16. მომავალი სამუშაოს, მოღვაწეობის გეგმა; 17. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გვირაბი; 19. ერთ-ერთი უზენაესი ღვთაება ინდუიზმში; 21. ცალკეული სცენებისა და ნომრებისაგან შედგენილი საესტრადო-თეატრალური წარმოდგენა.

**თარაზულად:** 5. პენიცილინის აღმომჩენი ინგლისელი მიკრობიოლოგი; 6. ხელოვნური მორწყვის ღონისძიებათა სისტემა; 7. საქართველოს თავდაცვის მინისტრი; 10. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 13. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 15. ნაყინის დასამზადებელი აპარატი; 18. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 20. ესტონეთის დედაქალაქი; 22. ნიდერლანდური ლუდი; 23. ადამიანის, ცხოველის ჩანასახი; 24. ფრანგული საავტომობილო კომპანია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იტაიპუ; 2. ზარზმა; 3. იმედი; 5. რადა; 6. ლოტოსი; 8. ლეკალო; 11. ენციკლიკა; 13. ვერსაჩე; 14. ფიდიასი; 15. ჰერალდი; 19. რიგა.

**თარაზულად:** 1. ინკვიზიცია; 4. სუფრული; 7. აგუძრა; 9. დანელია; 10. ჩეძა; 12. პლანტაცი; 16. მორიკონე; 17. იროკეზი; 18. კინესტონი; 20. კაქტუსი; 21. ლები; 22. ოპონენტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ციტატა; 2. ფერმერი; 3. ხეჭეჭური; 4. იტალიანა; 8. ჩელენტანო; 9. მანომეტრი; 11. პარხალი; 12. კოლო; 14. არხი; 16. პოინტერი; 17. ნიშადური; 19. სინუსი; 21. კანტი.

**თარაზულად:** 5. კურატორი; 6. ტრამალი; 7. მეტრეველი; 10. რუტერი; 13. ბენინი; 15. ქლუზნორი; 18. ხორავა; 20. პანეში; 22. სინდიკატი; 23. გრიფინი; 24. უტინორა.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 დეკემბერი


აშშ დოლარი — 2.6883


ევრო — 2.8547


დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2445


100 რუსული რუბლი — 3.9085

## ამინდის პროგნოზი 26 დეკემბრისათვის




## კვარაცხელია ნელ-ნელა ფორმაში შედის



ნაპოლის ქართველი შემტევი ხვიჩა კვარაცხელია ნელ-ნელა ფორმაში შედის და ამის შესახებ იწერება იტალიურ მედიაში. ტრავმის შემდეგ ხვიჩამ რამდენიმე არცთუ კარგი შეხვედრა ჩაატარა და დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ მას ჩვეული ფორმის აღდგენა გაუჭირდება. მიუხედავად ამისა, კვარაცხელია ვარჯიშებზე თავდაუზოგავად შრომობს და, როგორც ჩანს, მას შედეგი უკვე აქვს. იტალიაში ჩემპიონატი 4 იანვარს განახლდება.

## მესი პსჟ-ში დეკემბრის ბოლოს დაბრუნდება



მესი მსოფლიოს ჩემპიონის რანგში პსჟ-ში დეკემბრის ბოლოს დაბრუნდება, მანამდე კი არგენტინაში იმყოფება, სადაც ოჯახთან ერთად დროს ატარებს და სოციალურ ქსელშიც საკმაოდ აქტიურია. მესიმ განაცხადა, რომ ის მზად არის საკლუბო ფეხბურთზე გადაერთოს, მაგრამ ჯერ დასვენება სჭირდება. მისი თანაგუნდელი ნეიმარი ასევე თავის სამშობლოში იმყოფება, მბაპემ კი უკვე განაახლა ვარჯიში.

## ლევანდოვსკი: „მესისთან ერთად თამაშს ვისურვებდი“



პოლონეთის ნაკრებისა და ბარსელონას ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ თქვა, რომ მას მესისთან ერთად თამაში სურს, თუმცა იცის, რომ ეს რთული იქნება, რადგან მესი ბარსელონაში დაბრუნებას არ აპირებს: „მსოფლიო ჩემპიონატის დროს მესის ვესაუბრე და ის კარგი ადამიანია. მიხარია, რომ არგენტინამ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. მინდა, რომ მესისთან ერთად ვთამაშობდე, მაგრამ ეს იოლი არ იქნება“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მომღერალმა ნათია ხულელიძემ მექსიკაში გაიმარჯვა



10 წლის ყაზბეგელმა მომღერალმა ნათია ხულელიძემ მექსიკის საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიმსახურა. ფესტივალი ონლაინ ფორმატში ჩატარდა და მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას.

„იები შენთვის“ — ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც მომღერალმა და კომპოზიტორმა თამარ მეჭიაურმა დაწერა, ტექსტის ავტორი, პოეტი თენგო ავსაჯანიშვილია, სიმღერა კი მომღერალმა ზაზა გოჩიტაშვილის არანჟირებით ჩაწერა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 26 დეკემბრისათვის

**ვერძი** — აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კურო** — ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **ტყუპები** — პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კირჩხიბი** — ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით — საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** — ნუ აჩქარდებით. პროფესიონალურ სფეროსა და პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ზედმეტი მიმნდობლობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **ქალწული** — საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. თქვენი ავტორიტეტის შებღალვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **სასწორი** — ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ღრიანკალი** — ნუ გარისკავთ. ერიდეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქმედებებს, ასევე ქალაქგარეთ გასვლას. დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **მშვილდოსანი** — სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი ალმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **თხის რქა** — ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. ნებისმიერი ინიციატივა კრახით დამთავრდება. ფინანსებს გაუფრთხილდით. **მერწყული** — კარგი პერიოდია ხანმოკლე მივლინებებისა და საქმიანი შეხვედრებისათვის. მთავარია, მომენტი სწორად შეარჩიოთ. ნუ ეტყვით უარს მეგობრებს დახმარებაზე. **თევზები** — ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალური და პირადი საკითხების გადასაწყვეტად მშვენიერი პერიოდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი მეგობარი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— ბიჭო, იცი, გუშინ, თამაშის შემდეგ, რონალდუ ავტოგრაფებს რომ არიგებდა, შემთხვევით საჩხერის „ჩიხურასთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი...

•••

სამსახურიდან სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი კართან შეეგება და ეუბნება:

— ძვირფასო, შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს, ერთი ცუდი, მეორე კარგი!

— ცუდით დაიწყე.

— ცუდი ისაა, რომ მთელი შენი ფული გავფლანგე...

— და კარგი რაღაა?

— ლატაკიც კი მიყვარხარ!

•••

ორნი საუბრობენ:

— ერთი მეორეს ეკითხება:

— შენი აზრით, როგორ შეიძლება ჯანმრთელობის დაცვის დონის ამაღლება?

— სულ უბრალოდ! სამედიცინო სასწავლებლების კურსდამთავრებულებმა პირველი სამი წელი საკუთარ პედაგოგებს უნდა უმკურნალონ!

•••

ექიმი პაციენტს ეუბნება:

— ახლა მე თქვენ წამალს გამოგიწერთ და მას დღეში ოთხჯერ ჭამის შემდეგ მიიღებთ.

— რას ამბობთ ექიმო, მაგდენი საჭმელი რომ მქონდეს, თქვენთან კი არ მოვიდოდი.

•••

მედდა ავადმყოფს:

— გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ! გა-იღ-ვი-ძეეთ!

— რა მოხდა?

— არაფერი, ძილის წამალი მოგიტანეთ, დალიეთ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მარიკა თხელიძე გოგონას დედა გახდა



მომღერალი მარიკა თხელიძე დედა მეორედ გახდა. ნიკოლოზის შემდეგ მას დეპუტატ გიორგი მანველიძისგან გოგონა ეყოლა, რომელსაც ვივიენი დაარქვა.

— ქვეყანას მოევლინა ჩემი ოცნების გოგო — ჩვენი უდიდესი სიყვარული — ვივიენ მანველიძე.

## რუსუდან ფეტვიაშვილის სამენოვანი ალბომი გამოცემულია




მხატვარ რუსუდან ფეტვიაშვილის უნიკალური ნახატების სამენოვანი — ქართულ-ინგლისური; ქართულ-ფრანგული ალბომი-კატალოგი გამოცემულია.

მისი პრეზენტაცია არტ გალერეა „ნობლესში“ გაიმართა. კრებულში მხატვრის საუკეთესო ნამუშევრებია გაერთიანებული.

პრემიუმ ხარისხის სამენოვანი კატალოგის ღირებულება 80 ლარია.

## ლილი იოსელიანის 100 წლის იუბილე გორის თეატრში აღინიშნა



გიორგი ერისთავის სახელობის გორის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში სახალხო არტისტის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რეჟისორის, მეცნიერისა და პედაგოგის ლილი იოსელიანის 100 წლის იუბილე აღნიშნა.

საიუბილეო საღამოს ფარგლებში რეჟისორის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის პრემიერა „ლილი იოსელიანი 100“ შედგა.

თეატრის ფოიეში წარმოდგენილი იყო ლილი იოსელიანის მიერ შექმნილი ჩანახატები და რამდენიმე პორტრეტი.

გორის თეატრში მოეწყო პრეზენტაცია ალბომისა „ლილი იოსელიანი“, რომლის ავტორი მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი და ლილი იოსელიანის სტუდენტი დიმიტრი ხვთისიაშვილია. წიგნ-ალბომში თავმოყრილია დიდი რეჟისორისა და პედაგოგის შესახებ წლების მანძილზე ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები, რეცენზიები, შემოქმედებითი პორტრეტები.

დიმიტრი ხვთისიაშვილმა ლილი იოსელიანის ოჯახთან შეთანხმებით გორის თეატრის მუზეუმს ლილი იოსელიანის უნიკალური წერილები გადასცა.

## სოფელ ხაშმში რეზო ინანიშვილის სახლ-მუზეუმი გაიხსნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში მწერალ რეზო ინანიშვილის სახლ-მუზეუმი გაიხსნა.

რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 165 243 ლარით დაფინანსდა. სახლ-მუზეუმის აშენების იდეა 2014 წელს პირველად გურამ ოდიშარიამ გააჟღერა.

ალექსანდრე ელერდაშვილმა, რომელიც იკვლევდა რეზო ინანიშვილის შემოქმედებას, მწერლის მხატვრულ-პროზაული 778 ტექსტი შეაგროვა, 8 ტომში გაანაწილა, დააკაბადონა და უდიდესი შრომა გასწია.

## პოეტი გიორგი ჩუთლაშვილი გარდაცვლილი იპოვეს



31 წლის პოეტი გიორგი ჩუთლაშვილი საკუთარმა მამამ გარდაცვლილი იპოვა. გავრცელებული ინფორმაციით, სიკვდილის მიზეზი გული გახდა.

სამწუხარო ინფორმაცია მწერალმა ლუკა ბაქანიძემ გაავრცელა.

გიორგი ჩუთლაშვილის ლექსები პირველად ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ 10 წლის წინ დაიბეჭდა. ის ლექსებს აქვეყნებდა ჟურნალებში „ახალი საუნჯე“ და „არილი“.

გიორგის სადებიუტო კრებული „მზის პოსტერი“ 2016 წელს გამოვიდა. მომდევნო წელს თბილისის მე-3 საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში მონაწილეობდა. 2019 წელს კი ჩაერთო პროექტში „მსოფლიო კედლების გარეშე“.

— ხშირად მიდგას მძიმე წუთები. დღეები, როცა უაზრობის შეგრძნება უჩუმრად მეპარება და ცინიკურობასა და ირონიაში მძირავს, როცა ვკარგავ სიყვარულს და იმის რწმენას, რომ ყველაფერი კარგად იქნება, თან ვფიქრობ, სად მაქვს სიყვარული? მგონი არ შემიძლია სიყვარული და არ მაქვს სიყვარული და თუ არ შემიძლია და არ მაქვს, შესაბამისად ვერც დავკარგავ. ადამიანი საიდუმლოა და მე ძალიან მინდა ამ საიდუმლოს ჩავწვდე, იმიტომ, რომ მეც მინდა ვიყო ადამიანი, მაგრამ როგორ ჩავწვდე ადამიანს? როგორ ვიყო ადამიანი? არ ვიცი. დიდება და მადლობა უფალს. მადლობა ადამიანებს, ადამიანებს, რომლებიც ადამიანობას — ჩემგან განსხვავებით — საქმით ამყარებენ. მადლობა, ვინც სრულიად უანგაროდ მიდგას გვერდში. მადლობა, ვინც გულწრფელი ღიმილით და სასიამოვნო სიტყვით მამხნევებს და ამბობს, რომ ცხოვრება მშვენიერია. მადლობა ადამიანებს, რომლებსაც არ შევხვედრივარ, ჰაერზე და ვირტუალურად დიდ სიყვარულს ავლენენ ჩემ მიმართ. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კოლეგებს, მწერლებს, პოეტებს, ხელოვან ადამიანებს... განსაკუთრებული მადლობა: გენოს, თეას, მარიამოს, რატის! და კიდევ... და კიდევ დიდი მადლობა ყველა ადამიანს, ვისაც ჩემი კრებული (კრებულები) აქვს, ვინც ჩემს ახალ ლექსებს ელოდება და ქუჩაში ჩემი დანახვა უხარია, ვისაც არ უხარია, მათაც დიდი მადლობა, დიდი მადლობა ადამიანებო! იქნებ მეც მასწავლოთ სიყვარული და იქნებ მითხრათ, როგორ აღიქვამთ მშრალი თევზის წონასწორობას, — ეს უკანასკნელი ჩანაწერია, რომელიც გიორგი ჩუთლაშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ზომიერი კლიმატის სარტყლის სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 2. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 3. საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელი; 5. საცხენოსნო შეჯიბრება; 6. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 13. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 14. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 15. ნიდერლანდური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.

**თარაზულად:** 1. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 4. საზღვაო ლაინერის ზედა გემბანი, სადაც განთავსებულია სამაშველო ნავები; 7. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 9. საყოველთაოდ ცნობილი გაცვეთილი ჭეშმარიტება; 10. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 12. კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. რაიონული ცენტრი კახეთში; 17. ქართული კონიაკი; 18. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 20. განსაკუთრებული ნიჭი; 21. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული კერძი; 22. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

